ალია
60 თეთრი

**როგორ გვატყუებენ ფარმაცევტული კომპანიები — 5 ხრიკი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ!**



12

N38/3354/ 8-12 აპრილი 2016 წ
PRESS
ფასი 60 თეთრი
ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# საპარლამენტო კოალიციაში ახალი სკანდალი მწიფდება

## რის გამო უპირისპირდებიან „ოცნების“ წევრები პარტიულ ბოსებს?




9

## ფარული ვიდეოებით რიგითი მოქალაქეების დაშანტაჟებას დაიწყეს?

### რას ურჩევენ ასეთ ადამიანებს და რას აცხადებენ შსს-ში?

11

## არის ხალხი იმდენად გამწარებული, რომ „მაიდანი“ მოაწყოს?



4

საავტომობილო საცობების დასამარცხებლად, თბილისის ცენტრში ბენზინგასამართ სადგურების ნაწილი დაიხურება



10

რატომ გადაწყდა „ლაგუნა ვერესთან“ გზის შეკეთება ახლა, როცა დიდი მოძრაობაა და არა ზაფხულში? შეიქმნება თუ არა გაუვალი საცობი?



3

რა ბრალდებებს უყენებენ შალვა რამიშვილს ყოფილი თანამშრომელი გოგონები



2

საარჩევნოდ „პური და სანახაობა“ „ოცნების“ ხელისუფლებასაც გაახსენდა

მსოფლიო ვარსკვლავების კონცერტებზე სამ თვეში 29 მილიონი დაიხარჯება




7

დავით ოქიტაშვილი — როცა შენი ახალგაზრდები ნიჩბით დახოცეს, 9 აპრილს პეტერბურგში კონცერტის გამართვა უსინდისობაა



12

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

**„მგზავრების“ პასუხი კრიტიკოსებს — „ბიბი ცალი კალოშით არ ჩამოსულა თბილისში“**




13

თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლებს „გაუჩალიჩეს“ — მათ სასამართლომ გაფიცვა აუკრძალა



2

„თუ „ეროვნული ფორუმი“ ბარიერს ვერ გადალახავს, პარტიამ შესაძლოა, თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს“



6

„თქვენ ისურვებდით ოჯახში ფატიან, გაბანჯგვლულ კაცებს პატარძლად?!“



13

# რა ბრალდებებს უყენებენ შალვა რამიშვილს ყოფილი თანამშრომელი გოგონები

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



უმჯობესი იქნებოდა, თანამშრომლებს შორის კბენა, ღრენა და პწკენა არ ხდებოდეს, მაგრამ ისე ხომ არასოდეს არის ხოლმე, როგორც ჩვენ ვისურვებდით...

მოკლედ, „იმედისა“ და შალვა რამიშვილის გარშემო მითქმა-მოთქმა არ ცხრება — ერთი მხრივ, შალვა რამიშვილი განცხადებას განცხადებაზე აკეთებს — თუ რამე დავაშავე, ვინც რამე იცით, გამოდით, ხმამაღლა თქვით, მეორე მხრივ - „იმედი“ ისევ დუმს და მხოლოდ ერთი პწკარი განმარტებით შემოიფარგლება:

**„შპს „ტელეიმედმა“ შალვა რამიშვილთან დაკავშირებულ კონტრაქტორ კომპანიასთან გაწყვიტა საქმიანი ურთიერთობა. რაც შეეხება იმ სატელევიზიო პროდუქტებს, რომლებსაც ხსენებული კონტრაქტორი კომპანია „ტელეიმედისათვის“ ამზადებდა და გადიოდა ეთერში, ვაცხადებთ, რომ არხი ინარჩუნებს ამ გადაცემებს და აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლებთან.**

რაც შეეხება თავად შალვა რამიშვილს, იგი „იმედისგან“ მოითხოვს, გააცნოს საზოგადოებას ჩანაწერი, რომელიც როგორც ამბობენ, თათია სამხარაძემ („ტასო ბარნოვა“) მოიპოვა. შალვა რამიშვილი საკუთარ „ფეისბუკ“ გვერდზე წერს:

**„ვრცელდება ხმები თითქოს ეს ყოველივე დაკავშირებულია ჰიპოთეტიურად არსებულ სექსუალური შინაარსის ფარულ ჩანაწერთან, რომელიც თითქოს აქვს კომპანიის ყოფილ თანამშრომელ თათია სამხარაძეს (ფსევდონიმი - ტასო ბარნოვა) და რომელიც შეიცავს სს დანაშაულის ნიშნებს ან/და არის ჩემი რეპუტაციის შემლახავი.**

**აგერთვე, ჟურნალისტურ წრეებში ვრცელდება ხმები, რომ თითქოს ამ ჩანაწერს გაეცნო „რუსთავი 2“-ის ზოგიერთი თანამშრომელი, მაგალითად ნანუკა ჟორჟოლიანი.**

**მოვითხოვ, თათია სამხარაძემ, ნანუკა ჟორჟოლიანმა ასევე, ნებისმიერმა პირმა, რომელსაც თითქოს აქვს აღნიშნული ჩანაწერი ან იცის მისი შინაარსის შესახებ, საჯაროდ განაცხადოს ამის თაობაზე. მე ორი დღის წინ უკვე შევიტანე განცხადება პროკურატურაში.**

**მივმართავ ყველას, ვისაც ეს ეხება — თუ გაეცანით ჩანაწერს ან მოიპოვეთ იგი და თუ ჩანაწერში იკვეთება რაიმე სახის დანაშაული, მაშინ თქვენი ვალია აცნობოთ ამის შესახებ პროკურატურას. თუ ვინმე საკუთარ თავს რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევს, განაცხადოს ამის თაობაზე საჯაროდ ან მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს“.**







„ტასო ბარნოვა“ ჯერჯერობით თემასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, სამაგიეროდ, „ფეისბუკით“ რამიშვილისთვის არც თუ ისე სასიამოვნო განცხადება გაავრცელა „იმედის“ ყოფილმა თანამშრომელმა მარგო ლუჩკომ, რომელიც თუ გახსოვთ, „შალვა რამიშვილის შოუში“ მუშაობდა და ტელევიზიიდან წასვლის შემდეგ მისი ადგილი სწორედ „ტასო ბარნოვამ“ დაიკავა. აი, რას წერს ლუჩკო:

**„გადაცემიდან „შალვა რამიშვილის შოუ“ ჩემი წასვლის მიზეზი ჩემს მორალურ პრინციპებთან შოუს ხელმძღვანელის, შალვა რამიშვილის მხრიდან შეუსაბამო მოთხოვნების წამოყენება იყო. ამ საკითხს აღარ მინდა დავუბრუნდე. შეკითხვას რომელიც ჟურნალისტებს შეიძლება გაუჩნდეთ - რატომ არ განვაცხადე თავის დროზე ამის შესახებ, ვპასუხობ: არ განვეკუთვნები ისეთი ადამიანების რიცხვს, რომლებსაც სააშკარაოზე გამოაქვთ შიდა სამზარეულო, მით უმეტეს თუ პროფესიული თანამშრომლობა ხელმძღვანელის მხრიდან სხვა სახის, ჩემთვის სრულიად მიუღებელ ურთიერთობებს გულისხმობს“.**

ასეა თუ ისე, „ტეხავს“ თანამშრომლებს შორის კბენა, ღრენა და ჰო, კიდევ – პწკენაც...

# ზურაბ ჭიაბერაშვილი - საავადმყოფოების მიმართ ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება ათეულობით მილიონი ლარია



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯანდაცვის პროგრამაში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა დაადასტურა, რომ პროგრამა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დგას. როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, ამის ერთ-ერთი მაგალითი ჯანდაცვის სფეროში კატასტროფულად გაზრდილი ფასების ფონზე საავადმყოფოებისათვის ანაზღაურების შემცირებაა.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მდგომარეობა მიუთითებს, რომ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო უწყების საქმიანობას 9-თვიანი პერსპექტივით უყურებს - ანუ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე. „ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ არჩევნებს წააგებს და ყველაფერს ამ პერსპექტივით უყურებს: აღარ აინტერესებს, მერე რა იქნება.

საქართველოს მთავრობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა დაადასტურა, რომ პროგრამა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დგას. ჯანდაცვის სფეროში კატასტროფულად გაზრდილი ფასების ფონზე საავადმყოფოებისათვის ანაზღაურების შემცირებადა გადახდის ვადების გახანგრძლივება საფრთხის ქვეშ აყენებს ექიმებისა და ექთნების ხელფასებს, აუარესებს მკურნალობის ხარისხს, ზრდის პაციენტების მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდებს და დაუცველს ხდის ყველაზე მოწყვლად მოქალაქეებს - პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს, -განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით შეძლებულები უფრო სარგებლობენ, ყველაზე გაჭირვებულ მოქალაქეებს კი წამლის შეძენაც კი არ შეუძლიათ.

– ფონდი „კურაციოს“ მიერ ჩატარებულმა უაღრესად საყურადღებო კვლევის რესპონდენტთა 73,1 პროცენტის აზრით, მოსახლეობის ფინანსური დაცულობა უკვე გაუარესდა; რესპონდენტთა 64,9 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდება შემდეგ ექვს თვეში.

მისივე ინფორმაციით, ამიერიდან პაციენტებს ეზღუდებათ საავადმყოფოების არჩევის თავისუფლება. მოქალაქეს ერთის ნაცვლად ორი თვე მოუწევს დაფინანსებაზე ე.წ. „საგარანტიო წერილის“ მიღებისთვის ლოდინი. ასევე, საავადმყოფო ერთის ნაცვლად ორი თვე უნდა ელოდოს, ვიდრე ჯანდაცვის სამინისტრო საავადმყოფოს მიერ თანხების ანაზღაურებისათვის წარდგენილ დოკუმენტაციას შეამოწმებს. (ინტერპრესნიუსი)

# თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლებს „გაუჩალიჩეს“ — მათ სასამართლომ გაფიცვა აუკრძალა

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მოთხოვნა 30 კალენდარული დღის ვადით გაფიცვის გადადების თაობაზე, დაკმაყოფილდა, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ პერიოდში საგაფიცვო მოქმედებების განხორციელება, სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობად ჩაითვლება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებას გამოიწვევს.





როგორც „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობასა და პროფკავშირებს შორის ინტენსიურად გრძელდება მოლაპარაკებები მემანქანეების მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე კონსტრუქციული მოლაპარაკებების გამართვის შემთხვევაში არსებობს რესურსი, რომ „ერთობა 2013"-თან საბოლოოდ გამოინახოს კომპრომისი, რომელიც დააკმაყოფილებს მემანქანეებს, არ დააზარალებს კომპანიას და არ შეაფერხებს ქალაქის სატრანსპორტო ქსელს.

შემათანხმებელი პროცედურების გაგრძელების მიზნით, კომპანიამ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ საშუალებებს მიმართა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა „გაფიცვის შეჩერების შესახებ" სარჩელი.

მოკლედ, ხალხი ხელფასის მომატებას მოითხოვდა, გაფიცვაც დააპირა და აგერ, ხელ-ფეხი შეუკრეს — თუ გაბედეს და გაიფიცნენ, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობას „აკიდებენ“ და აქეთ მოუწევთ ჯარიმის სახით ფულის გადახდა.

თუმცა ეს სატრანსპორტო კომისიის პირველი „გაჩალიჩება“ სულაც არ გახლავთ — უკმაყოფილო თანამშრომლებს მათ გასულ დღეებში ხელფასის შესახებ ინფორმაცია გამოუმზეურეს — აგე, რამხელა ფულებს იჯიბავენ და კიდევ პრეტენზიები აქვთო.

საერთოდ, ხელფასის ოდენობის გამხელა მეორესთან შეთანხმების გარეშე ერთი მხარის მიერ წესით და კანონით არ უნდა ხდებოდეს, თუმცა „დიდ კაცთან პატარა კაცსაო“, ხომ გაგიგიათ, არა?

კაცო, იქნებ არ მინდა, მთელმა სამეზობლომ და სანათესაომ გაიგოს, რამდენს მიხდის დამსაქმებელი? ეს ხომ კონფიდენციალური ინფორმაციაა, არა?! ჰოდა, ზუსტად იმიტომაც ვამბობთ, რომ „გაუჩალიჩეს“ ხელქვეითებს სატრანსპორტო კამპანიაში და შერჩათ კიდეც ხახვივით კონფიდენციალური ინფორმაციის გამომზეურება.

ამასობაში თბილისის მერი აცხადებს — ხელები დამიბანია, მე არაფერი შემიძლია და გაეზრდებათ თუ არა ხელფასი მეტროპოლიტენის თანამშრომლებს, ეს ამბავი თბილისის „სატრანსპორტო კომპანიაზეა დამოკიდებულიო“.

ესეც სეირი – აბა, ბატონო მერო, მხოლოდ ის იყო კარგი და სასიამოვნო, ხმას რომ გაძლევდნენ არჩევნებზე მემანქანეები, მათი თანაშემწეები და სხვა თანამშრომლები, არა?!

როგორც ქალაქის მერი განმარტავს, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ რამდენიმე დღის წინ უკვე გადადგა ნაბიჯები და ხელფასები მეტროპოლიტენის თანამშრომლებს მათი ნამსახურები წლების მიხედვით მოემატება.

– თითოეული თანამშრომელი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ შეიძლება გაეზარდოთ მათ მომავალში ანაზღაურება. თუმცა, ამ თვალსაზრისით რამდენიმე დღის წინ გადავდგით ნაბიჯი და „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ მათ ნამსახურები წლების მიხედვით დანამატზე იზრუნა და 1 მილიონი ლარი დამატებით გამოიყო.

მოლაპარაკები დღესაც მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, რომ კომპანიის შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმი გაკეთდება, რათა უკეთ იყვნენ თანამშრომლები უზრუნველყოფილი, - აცხადებს დავით ნარმანია.

აღდგომა და ხვალეო — ვნახოთ, რას მიაღწევენ მეტროპოლიტენის თანამშრომლები. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, მომდევნო ერთი თვის მანძილზე ისინი ვერ გაიფიცებიან, მაგრამ ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ ისევ რომ მიმართოს ტრანსპორტის კომპანიამ სასამართლოს, მერე?..

## 24 წლის გოგიტას არასრულწლოვნის ცოლად მოყვანისთვის პატიმრობა ემუქრება



შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრს, აჭარისა და საქართველოს, საერთაშორისო ტურნირების 40-გზის ჩემპიონს მკლავჭიდში არასრულწლოვნის ცოლად მოყვანისთვის პატიმრობა ემუქრება.

24 წლის გოგიტა ხიმშიაშვილის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღძრეს, როდესაც შვილი შეეძინა და ბავშვი ბათუმის იუსტიციის სახლში დაარეგისტრირა.

გოგიტა ხიმშიაშვილი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადება და სპეციალურ მომზადებასაც გადის, თუმცა უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის თქმით, მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია, ის დააკავონ.

თამაზ ბაკურიძე პროკურატურას მიმართავს, შესაბამისი ზომები გაატაროს. (regnews.ge)

## „თუ იმას იზამენ „მგზავრები“, რასაც წერთ, უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს“

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, მუსიკალური ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტის, გიგი დედალამაზიშვილის დას მიმართავს.

– გიგი დედალამაზიშვილის დავ, თუ იმას იზამენ „მგზავრები“, რასაც თქვენ წერთ და რაც ჯერ არავის არ უქნია, არათუ უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს, მაღალ ღმერთებსაც ვთხოვ, ყველა პატრიოტს შეეწიოს, მგზავრების ჩათვლით.

მანამდე, ანუ სანამ ამ ყველაფრის ამსახველ ვიდეოს არ ვიხილავთ, ჩემი დამოკიდებულება უცვლელი რჩება სიმბოლურ დღეს, 9 აპრილს მტრისთვის გამართულ ცეკვა-თამაშზე მტრის ბუნაგში. შესაბამისად, უცვლელად ვტოვებ ჩემს მიმართვას – მაღალო ღმერთებო, თქვენ შეეცით ყველა გამოყლევებულს.

პ.ს. სოხუმიდან თბილისში ცალი კალოშითაც არ ჩამოვსულვარ, ისე. ფეხშიშველი ჩამოვედი, აი, თქვენ რომ სამღერლად ეახლებით, იმათი დამსახურებით, – წერს ნიკა გვარამია.

ცნობისთვის, გიგი დედალამაზიშვილის დამ ჯგუფ „მგზავრების“ მისამართით წამოსულ კრიტიკას, სოციალური ქსელით უპასუხა, სადაც დაწერა, რომ 9 აპრილის ჯგუფი „მგზავრები“ პეტერბურგში აქცია-კონცერტს გეგმავს, ვიდეო ინსტალაციითა და წუთიერი დუმილით. (daijesti.pia.ge)

# რატომ გადაწყდა „ლაგუნა ვერესთან“ გზის შეკეთება ახლა, როცა დიდი მოძრაობაა და არა ზაფხულში? შეიქმნება თუ არა გაუვალი საცობი?






ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37


კვირა არ გავა, თბილისის მერმა და მისდამი დაქვემდებარებულმა უწყებებმა ისეთი რამე არ გააკეთონ, მოსახლეობას ისედაც აწეწილი ნერვები არ დააგლიჯონ. კაცი იფიქრებ, მერიაში სპეციალურად არიან თავმოყრილი ისეთი ადამიანები, რომლებიც იმაზე ფიქრობენ, თბილისელებს როდის და რით მოუშალონ ნერვები, მოსახლეობას როგორ შეუქმნან პრობლემები. ახლა, როცა საწვავი ასე თუ ისე გაიაფდა და თბილისში მოძრავი ავტომობილების რაოდენობა პიკს აღწევს, ვილაც „ჭკვიანს“ მერიაში აზრად მოუვიდა, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეაბილიტაცია დაიწყოს და 10 დღით აკრძალოს მოძრაობა. 17 აპრილის ჩათვლით ღამის 23:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე საავტომობილო მოძრაობა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიიდან თამარ მეფის ხიდის პანდუსამდე გადაიკეტება. ამ პერიოდის განმავლობაში გადაადგილება შესაძლებელი იქნება ალტერნატიული გზით: მარჯვენა სანაპიროზე დაბრუნება შესაძლებელი იქნება ვახუშტის სახელობის ხიდის პანდუსით გმირთა მოედნისა და კოსტავას ქუჩების გავლით. მავანი იტყვის, ღამის საათებში რა პრობლემები უნდა შეიქმნასო, მაგრამ ვისაც ღამით ამ ადგილას გადაადგილება უწევს, იციან რომ ამ დროსაც საკმაო მოძრაობაა. „კლიაუზნიკობა“ არ მინდა დამწამოს ვინმემ, მაგრამ მერიის სამსახურების მუშაობას რაც ვაკვირდები, ვარავინ დამარწმუნებს, რომ სამუშაოებს ზუსტად დილის 8-ზე დაასრულებენ ხოლმე და მოჭარბებული მანქანების გამო საცობები არ შეიქმნება. ან კიდევ, ყოველდღე ამხელა „კრუგებს“ რომ დაარტყმევინებთ ხალხს, ყველას თქვენსავით მუქთა საწვავი ხომ არ აქვს?

**საკრებულოს უმცირესობის წევრი ირაკლი აბესაძე „ალიას“ აბსოლუტურად ეთანხმება იმაში, რომ მერიის ეს ახალი ინიციატივა, გაუთვლელი და ხალხისთვის პრობლემების შესაქმნელად არის გამიზნული:**

– საავტომობილო მაგისტრალი თუ შესაკეთებელია, უნდა შეაკეთო, მაგრამ მინიმუმ, როცა ამის გაკეთებას აპირებ, რამდენიმე დღით ადრე უნდა აცნობო მოსახლეობას და არა ერთი დღით ადრე. თბილისი ისედაც გაუვალი ქალაქია ლამის და თუ დათქმული მოძრაობის გრაფიკი დაირღვა, ეს სარემონტო სამუშაოები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და მის ზემოთ მდებარე ქუჩებზე ისეთ საცობებს წარმოშობს, შესაძლოა, მსგავსი არც გვენახოს. რამდენად სავალდებულო იყო ამ სარემონტო სამუშაოების დაწყება ახლა, ესეც საკითხავია. დარწმუნებული ვარ, არანაირი გადაუდებელი სამუშაოები მარჯვენა სანაპიროზე არ არის ჩასატარებელი, თუ მაინც გადაწყვიტეს, ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, დავუშვათ, აგვისტოში, როცა თბილისიდან ხალხია გასული დასასვენებლად, მათ შორის ბევრი ავტომფლობელი და შესაბამისად, ავტომობილების მოძრაობა ნაკლებია. როცა ზაფხულის სტიქიური უბედურების გამო საკმაო ხნით გადაიკეტა მთელი რიგი მაგისტრალები თბილისში, მაშინ ამას ყველა გაგებით შევხვდით, ახლა რაღა სჭირთ, მართლა ვერ გავიგე. ერთი კაცი არ აღმოჩნდა მერიის შესაბამის სამსახურებში, რომ ეთქვა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეაბილიტაციის დაწყება აპრილში საცობებს გამოიწვევს და მოდით, ზაფხულში, როცა ქალაქი ავტომობილებისგან განიტვირთება, მაშინ გავაკეთოთ ეს საქმეო? მერია არ იყო, აღმაშენებლის ხეივანი რომ გადაკეტა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ისე, რომ ალტერნატიული მარშრუტებიც არ შესთავაზეს საზოგადოებას და ისეთი საცობები შეიქმნა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანები ყვებოდნენ ამ საცობებში და დანიშნულების ადგილამდე დროულად კი არა, საერთოდ ვერ აღწევდნენ? ეს მაგალითი სახეზე ჰქონდათ, მაგრამ საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობენ. ამათ არ გააკეთეს ზამთარში დიღმულას ხიდი, როცა ამის გაკეთება ზაფხულში უპრიანი იყო და მარშალ გელოვანის გამზირი არ გადაკეტეს? გახსოვთ, მაშინ რამხელა ხელოვნური საცობები იყო? ახლა, ამ ყველაფრის მერე ვინ იტყვის, რომ ამ ყველაფრის გამკეთებლებს, ხალხის ბედი აღელვებთ? ვინც ეს ყველაფერი გააკეთა, ისევ იმ ხალხმა დაგეგმა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეაბილიტაცია.

**— იმის გარანტია გვაქვს, რომ ამ 10 დღეში მოასწრებენ სამუშაოების დასრულებას. ბევრჯერ დათქმულ დროს ვერ დაუსრულებია სხვადასხვა მიზეზის გამო, ხან მერიის კონტრაქტორი კომპანიის მესვეურნი აღმოჩნდებიან თაღლითები, სამუშაოები ბოლომდე არ მიჰყავდათ და ხან სხვა მიზეზით ფერხდებოდა სამუშაოების დასრულება.**

– ეს პრობლემაც არის, კაცმა არ იცის, ამ 10 დღეში მოასწრებენ და დასრულებენ ამ სამუშაოებს? თაღლითებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროექტს მერიის, ან მერიის რომელიმე ჩინოვნიკის, ან, ზოგადად, „ქართული ოცნების“ გავლენიანი ფიგურის ახლობლის ახლად დაფუძნებული ფირმა ასრულებდეს, არაკომპეტენტური, გამოუცდელი ხალხი და ეს პროექტი ბოლომდე ვერც მიიყვანონ.

**— ანუ არ იცით, ვინ ასრულებს ამ სამუშაოებს და რამდენი ჯდება?**

– არა, ამაზე ინფორმაცია არ გამაჩნია.

**ვინ აწარმოებს სარემონტო სამუშაოებს? რა ჯდება პროექტი და რატომ გადაწყდა გზის რეაბილიტაცია გაზაფხულზე?**

**„ალიას“ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის პრესსამსახურის თანამშრომელი, ლაშა ჩხიკვიშვილი ესაუბრა:**

**— ლაშა, ვინ აწარმოებს სამუშაოებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე?**

– სამუშაოებს აწარმოებს მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური, უშუალოდ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს კი ახორციელებს შესყიდვების სააგენტოს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ენ-სი-სი“, რომელსაც არამარტო ამ მიმართულებით, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხითაც აქვს გამოცდილება, მან შეასრულა ბარათაშვილის ხიდის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

**— ვინ და რატომ გადაწყვიტა, რომ ეს სამუშაოები აპრილში ჩატარებულიყო და არა, დავუშვათ, აგვისტოში, როცა ქალაქში ბევრად ნაკლები ავტომობილებია და საცობების წარმოშობის საფრთხეც ნაკლებია?**

– ეს გადაწყვეტილება კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა მიიღო. თბილისის მასშტაბით მიმდინარეობს გზების კაპიტალური რემონტი. აგვისტოში რომ დავიწყოთ ყველა სამუშაო, წლის ბოლომდე ფიზიკურად ვერ მოვრჩებით. რაც შეეხება ვადებს, ღამის 11 საათიდან დილის 8 საათამდე ნამდვილად არ იქნება საცობი სწორედ ამ მონაკვეთზე.

**— ვითომ? დილის 8 საათისთვის ხალხი უკვე სამსახურში და სხვა საქმეებზე მიდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტიც მოძრაობს.**

– მე 9 საათზე მეწყება სამსახური და ამ მონაკვეთის გავლა მიწევს, მაგრამ არ არის ამ დროს საცობი. თუ გნებავთ, მობრძანდით დილის 8 საათისთვის და ღამის 11 საათისთვის და ვნახოთ, იქნება თუ არა ამ მონაკვეთში საცობები.

**— თუ საჭირო იქნება, მოვალ. ისე, ამ 10 დღეში გამოჩნდება, იქნება თუ არა მაგ დროისთვის საცობები. ერთი კითხვაც მაქვს. რამდენი უჯდება მერიას ამ გზის რეაბილიტაცია?**

– 3 ობიექტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები გაერთიანდა ერთ სატენდერო პაკეტში. გაგარინის მოედანზე გზის კაპიტალური შეკეთება უკვე დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს მარჯვენა სანაპიროს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ასევე, ჯიქიას ქუჩაზე, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომელიც ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს. ამ სამივე პროექტის ღირებულება კი 3 მილიონ 200 ათასი ლარია.

> **„მერია არ იყო, აღმაშენებლის ხეივანი რომ გადაკეტა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ისე, რომ ალტერნატიული მარშრუტებიც არ შესთავაზეს საზოგადოებას, და ისეთი საცობები შეიქმნა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანები ყვებოდნენ ამ საცობებში და დანიშნულების ადგილამდე დროულად კი არა, საერთოდ ვერ აღწევდნენ? ეს მაგალითი სახეზე ჰქონდათ, მაგრამ საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობენ“**

## მიკროავტობუსიდან, რომელიც რიკოთის უღელტეხილზე გაქურდეს, 80 ათასამდე ლარია წაღებული

მიკროავტობუსი, რომლითაც ბათუმელი მოვაჭრეები თბილისში, ლილოს ბაზრობაზე მოდიოდნენ, რიკოთის უღელტეხილზე გაქურდეს.

ამის შესახებ ერთ-ერთი მოვაჭრე აცხადებს. მისი თქმით, წაღებულია 80 ათასამდე ლარი.

შემთხვევა 7 აპრილს გამთენიისას მაშინ მოხდა, როდესაც მიკროავტობუსი რიკოთზე გაჩერდა და მასში არავინ იმყოფებოდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო. (frontnews.ge)

## რას წერს „მგზავრების“ პირველი კლიპის ავტორი განო მელითაური ჯგუფის შესახებ



განო მელითაური „ფეისბუკის“ პირად გვერდზე 9 აპრილს რუსეთში „მგზავრების“ კონცერტის გარშემო სოციალურ ქსელში გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს ეხმაურება:

– კულტურას ეროვნება არ გააჩნია! ძალიან მწყდება გული, რომ შემოქმედ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, წარმატებას მიღწიონ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, პოლიტიკურ იარლიყებს აკრავენ! პირიქით, ხელი ჩაკიდო საკუთარ ქვეყანას და ოკუპაციის ქვეყანაში საკუთარი ბგერით, სიტყვით და სათქმელით დაიცვა, მის ტერიტორიაზე ააჟღერო ქართული, ყველასთვის საყვარელი მელოდიები და ხმა მიაწვდინო იქ მყოფ ადამიანებს, მხოლოდ მისაბაძი და დასაფასებელია!

ჯგუფ „მგზავრების“ თითოეული წევრი არის საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი ადამიანი. ეს ჯგუფი ჩემი და კოტეს თანდასწრებით ჩამოყალიბდა და მიხარია, რომ მათი პირველი კლიპის ავტორი ვარ და მქონდა ბედნიერება ამ უნიჭიერეს მუსიკოსებთან თანამშრომლობის! აღარაფერს ვამბობ იმ უნარზე, რასაც მეგობრობა და თანადგომა ჰქვია!! გიგი, ლაშა, ბიჭებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ! ყველაფერი კარგად იქნება!

ერთ რამეს ვიტყვი! არავინ არავის უშლის პროტესტის გამოხატვას, არც არავინ აწესებს კანონებს. თუ ვინმეს რამის თქმა ან გაკეთება სურს, არავინ უშლის და ჩვენი სენია სახლში ჯდომა, ენის ფხანა ვირტუალურ გამოგონილ სივრცეში, – წერს განო მელითაური. (daijesti.pia.ge)

## თურქეთი ევროკავშირს ემუქრება

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდორანმა ევროკავშირი დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით მიცემული პირობის შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

ერდორანმა განაცხადა, რომ თუ ევროკავშირი ანკარასთვის მიცემულ პირობას არ შეასრულებს და თურქეთს დაპირებულ 3 მილიარდ ევროს არ გადაურიცხავს, შეთანხმებას თურქეთიც დაარღვევს.

– ჩვენი ბიუჯეტი თითქმის 3 მილიონ დევნილს ინახავს, ხოლო ევროპისგან დაპირებული ფინანსური დახმარება ჯერ არ ჩანს. თუ ევროკავშირი თავის პირობას არ შეასრულებს, მიღწეულ შეთანხმებას თურქეთიც დაარღვევს, – განაცხადა ერდოღანმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს შორის შეთანხმება შედგა, რომ მიგრაციის კრიზისის მოსაგვარებლად, ევროკავშირი თურქეთს 3 მილიარდ ევროს გამოუყოფს. (pia.ge)

## მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით, საქართველოში კონცერტების სერია დაანონსდა

ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კულტურის მინისტრთან, მიხეილ გიორგაძესთან ერთად მედიას ახალი პროექტი **Check in Georgia** გააცნო. ქუმსიშვილის თქმით, აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ტურიზმის განვითარებასა და საქართველოს ცნობადობის გაზრდას მსოფლიოში.

– აღნიშნული პროექტი, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს მოიცავს. ეს იქნება კონცერტების სერია, რომლის ძირითადი ამოცანაა, საქართველო გახდეს კულტურული ცენტრი რეგიონში. ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ტურიზმი. მხოლოდ 2016 წლის სამი თვის მონაცემით, ტურიზმმა საქართველოს მოუტანა დამატებით, 84 მილიონი ლარის შემოსავალი. ჩვენ გვაქვს 14 მილიონიანი ზრდა, ხოლო დამატებით, 154 ათასი საერთაშორისო ტურისტი. კონცერტები და ღონისძიებები დამატებით წამახალისებელია, რომელიც ტურიზმს ეხმარება. ასევე, ზრდის საქართველოს ცნობადობას. არაერთი ვარსკვლავი გვეწვევა წლის განმავლობაში. ადგილობრივი შოუბიზნესის წარმომადგენლები გამართავენ არაერთ კონცერტს. რობი უილიმსმა „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე უკვე დადო აფიშა, რომ 27 მაისს ჩამოდის საქართველოში და აღნიშნულია, რომ კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი იქნება, – განაცხადა ქუმსიშვილმა. (pia.ge)



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# არის ხალხი იმდენად გამწარებული, რომ „მაიდანი" მოაწყოს? რატომ დაარღვია პრეზიდენტმა კანონი 8 ოქტომბერს არჩევნების დანიშვნის, 8 აგვისტოს კი საარჩევნო კამპანიის დაწყების გამოცხადებით?

კოალიციის დაშლის პროცესმა ბევრი ეჭვი და კითხვის ნიშანი გააჩინა, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ გარკვეულა, რატომ არ ტოვებს „რესპუბლიკური პარტია" კოალიციას „ეროვნული ფორუმის" მსგავსად, ამიტომაც გონივრული ეჭვის ფონზე მავანი თვლის, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ" შესაძლოა სიტუაცია ააყიროს, ლიბერალური ძალები დაწყვილდნენ და საქართველოში „მაიდანი" მოაწყონ. ეს ვერსია ბევრს ძალიან სასაცილოდ ეჩვენება, რადგან „მაიდანის" მოწყობას სჭირდება ავტორიტეტული პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ, ასეთი ლიდერები კი დღესდღეობით, ფაქტობრივად, არ არსებობენ, თითოეული მათგანი არის დისკრედიტებული და პოლიტიკოსების ფარულმა აუდიოჩანაწერებმა დაგვარწმუნა, რომ მათ ხალხი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ზოგისთვის მთავარია, იშოვოს მილიონები, ზოგი სიყვარულის მორევშია გადავარდნილი.

ორი დღეა, სკანდალის ცენტრში პრეზიდენტი მარგველაშვილი „ტრიალებს". მან 6 აპრილს ჯერ არჩევნების დღე დაასახელა – 8 ოქტომბერი, ოდნავ მოგვიანებით კი, საარჩევნო კამპანიის დაწყების ვადაც – 8 აგვისტო. ამან მარტო ოპოზიცია კი არ გაამწარა, ის „ენჯეოებიც", ვინც მარგველაშვილთან რეზიდენციაში აუდიენციაზე ხალისით მირბოდნენ ხოლმე.

როგორც ისინი ამბობენ, ეს არის მარგველაშვილის პრემიერ კვირიკაშვილთან გარიგება, რადგან თარიღი მასთან შეხვედრის შემდეგ დანიშნა და პრეზიდენტმა კანონი დაარღვია – კანონით საარჩევნო კამპანია იმ მომენტიდან იწყება, როგორც კი არჩევნების ჩატარების დღე გამოცხადდება და დამატებით 8 აგვისტო აღარ უნდა დაესახელებინა, ამიტომ, ახალი განკარგულება უნდა გამოსცესო. მარგველაშვილმა თავი იმართლა, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ საბიუჯეტო თანხები დამეზოგა, ორ თვეში უფრო ნაკლები დაიხარჯებაო, მაგრამ პრეზიდენტს ოპოზიცია ამ ნათქვამს ვირეშმაკობაში უთვლის – რა ფულიც არ უნდა დახარჯოს დაშლილმა და ხავსსჩაკიდებულმა კოალიციამ, ვინ გაუკონტროლებს, ჩვენ გვზღუდავენ და თვითონ კამპანიას მალევე დაიწყებენო. რას იზამს მარგველაშვილი, ჯერ უცნობია, თუმცა, 7 აპრილს გვიან საღამოს უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, სავარაუდოდ, არჩევნების თარიღი არ შეიცვლებაო...

მოკლედ, სიტუაცია ირევა და საით წავა საქმე – „მაიდნისკენ", თავისუფალი არჩევნებისკენ, თუ ბოიკოტისკენ, ეს ჯერ არავინ იცის... მაინც, რა არის მოსალოდნელი ახლო მომავალში?

**„ალიას" ამ და სხვა კითხვებზე პასუხობს იურისტი ვალერი გელბახიანი:**

**— ბატონო ვალერი, არჩევნების და საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღმა სიტუაცია არია. შეიძლება ე.წ. ლიბერალურმა პარტიებმა: „რესპუბლიკელებმა" და „თავისუფალმა დემოკრატებმა" დესტაბილიზაცია ააგორონ და ხალხმა „მაიდანი" დაანთოს?**

– არ მგონია... თუკი ეს ხალხი ამ ხნის განმავლობაში არ გამოდიოდა ქუჩაში იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წისქვილზე წყალი არ დაესხა, მით უფრო ახლა არ გამოვა. გაყალბების საფრთხეებიც ნაკლებად არის მოსალოდნელი.

**— რატომ? ის, რომ პრემიერ-მინისტრი ინარჩუნებს პოსტს და პარალელურად იქნება „ქართული ოცნების" სიის პირველი ნომერი, ეს არ ნიშნავს, რომ სახელისუფლებო რესურსს საკუთარი პარტიისთვის გამოიყენებს?**

– ფულადი რესურსები, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს ეძლევათ, ეს კვოტები ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის, ალბათ, უახლოეს მომავალში განისაზღვრება და ცალ-ცალკე პარტიებს გამოეყოფა თანხები და არა კოალიციას. ამის გარდა, კანონმდებლობას, რომელიც პარლამენტის მიერ არის განსახილველი, თუკი ეს კანონი გავა, კანონი ადმინისტრაციული რესურსების ხარჯვის ნაწილში უფრო გამჭვირვალე გახდება, ვიდრე არის.

**— ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერმა გია ვოლსკიმ, პრორუსად წოდებულ ნინო ბურჯანაძესთან და „პატრიოტთა ალიანსთან" კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობა არ გამორიცხა. ეს რას ნიშნავს, პარლამენტში მხარდამჭერებად სჭირდება „ოცნებას" თუ რუსეთთან ურთიერთობების დასალაგებლად?**

– არავინ იცის, ვინ რა წარმომადგენლობითი პროპორციით შევა პარლამენტში, ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია. საქართველოს საგარეო კურსი არ შეიცვლება, მაგრამ იმ განცხადებებს, რომელსაც ვუსმენ, ვეთანხმები, რომ შეიცვალოს არა ჩვენი საგარეო კურსი, არამედ შეიცვალოს რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება. ძალიან სერიოზული კულუარული მოლაპარაკებები მიდის საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის, არის საუბარი, რომ არჩევნებამდე რუსეთმა უვიზო მიმოსვლა დაგვიწესოს.

**— „ალიას" ინფორმაციით, რუსეთთან კულუარულად ცხინვალისა და აფხაზეთის თემაზე საუბრებიც დაიწყო...**

– ძალიან დიდი ხანია, ალიევი კულუარულ მოლაპარაკებებს მართავს ყარაბახის საკითხთან დაკავშირებით და როგორც ვიცი, რუსეთი დაითანხმეს, აზერბაიჯანის მხარეს ღიად ვერ დაიკავებს, რადგან სომხეთთან აქვს კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება დადებული. რადგან ყარაბახის დაკონსერვებული კონფლიქტის დარეგულირება იწყება, უნდა ჩავთვალოთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებითაც დაიძვრება საკითხი. ამ ფონზე, არ გამოვრიცხავ პოლიტიკური ლიდერების გააქტიურებას. შეიძლება რუსეთმა ღიად თავისი პოზიცია არ გამოხატოს, არც ფინანსები მიაყაროს რომელიმე პარტიას, მაგრამ შეხვედრების დონეზე დააფიქსირებს, ვისთან მეტი ნდობა აქვს და თქვენ ნახავთ, რომ უახლოეს დღეებში რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდება. ეს უნდა დაემთხვას ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ ჩვენ ამაში პოლიტიკურ ფასს არ ვიხდით, პოლიტიკურ ფასს იხდიან რუსები, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში საქართველომ ცალმხრივი პოზიციები რომ არ გაიჩინოს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შვეიცარიამ ე.წ. პანამის დოკუმენტებზე სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო




შვეიცარიამ ე.წ. პანამის დოკუმენტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ შვეიცარიის გენერალურმა პროკურორმა ოლივიე ჟორნომ განაცხადა.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, პანამის დოკუმენტებთან დაკავშირებით გამოძიება დავიწყოთ, თუმცა დეტალებზე საუბარი ჯერ არ შემიძლია, – განმარტა პროკურორმა.

მანამდე, პანამის პრეზიდენტმა, ხუან კარლოს ვარელამ განაცხადა, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნება საერთაშორისო საექსპერტო კომისია.

ე.წ. პანამის დოსიე შეიცავს მილიონობით დოკუმენტს, სადაც საუბარია მსხვილ ოფშორულ გარიგებებზე, რომელიც პანამის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. დოკუმენტებში 72 მოქმედი ან ყოფილი მსოფლიო ლიდერი, ასევე მაღალჩინოსანი, ბიზნესმენი და სპორტსმენი ფიგურირებს. (ინტერპრესნიუსი)

## „სააკაშვილი საკუთარ ცოლზე თავდასხმას გეგმავდა" – НТВ საქართველოს ექსპრეზიდენტზე გადაცემას ამზადებს




„უკრაინას საშიში დამნაშავე აფარებს თავს, მას შეკვეთილ მკვლელობებში, ადამიანების წამებაში, გაუპატიურებასა და საკუთარ ცოლზე თავდასხმაშიც კი ადანაშაულებენ. როგორ კურირებდა სააკაშვილის ცოლი პატიმრების ორგანოებით ვაჭრობას და როგორ გეგმავდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სანდრა რულოვსის მოშორებას", – რუსული ტელეკომპანია **НТВ** „ახალი რუსული სენსაციების" მორიგ სკანდალურ გადაცემას აანონსებს, რომელიც ეთერში 9 აპრილს გავა. (kvira.ge)

## ქუთაისში მოსახლეობამ დათვი შენიშნა



ქალაქ ქუთაისში ადგილობრივმა მოსახლეობამ დათვი შენიშნა. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა, რის შესახებაც მაცხოვრებლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს.

სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აღნიშნული დაადასტურეს და განაცხადეს, რომ სათანადო კანონმდებლობის თანახმად, მათ გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმირება მოახდინეს.

დათვი ქუთაისის ქუჩებში მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. სავარაუდოდ, ის დასახლებულ პუნქტში გაზაფხულის სეზონისთვის დამახასიათებელმა საკვების ნაკლებობამ მიიყვანა. (newspress.ge)

## „ნატო ხედავს რუსეთის აგრესიას და, შესაბამისად, პასუხობს"



ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის განცხადებით, კონსტრუქციული დიალოგი და ალიანსის გაძლიერებული თავდაცვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და იმედოვნებს, რომ რუსეთთან დიალოგი შესაძლებელი იქნება.

მისი თქმით, ნატო თვალს ადევნებს რუსეთის აგრესიულ ქმედებებს და, შესაბამისად, პასუხობს მას, თუმცა არ აპირებს, სიტუაცია ცივი ომის ზაფამდე მიიყვანონ.

კითხვაზე, როგორია რუსეთის მხრიდან რეალური საფრთხე, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ გარდაუვალ საფრთხეებს ვერა, თუმცა ალიანსი რუსეთის აგრესიულ ქმედებებს ხედავს.

– ჩვენ ვერ ვხედავთ ნატოსთვის გარდაუვალ საფრთხეებს, მათ შორის ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე. რუსეთის აგრესიული ქმედებები სიფრთხილეს მოითხოვს და ჩვენ შესაბამისად ვიქცევით. ნატო არ ეძებს კონფრონტაციას რუსეთთან. ჩვენ გვერდს ავუვლით ახალ ცივ ომს და ვიმედოვნებთ, რუსეთთან დიალოგი გამოვა, – განაცხადა ალიანსის მდივანმა ატლანტიკურ საბჭოში.

იენს სტოლტენბერგმა დასძინა, რომ კონსტრუქციული დიალოგი და სერიოზული თავდაცვითი ღონისძიებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

შეგახსენებთ, რომ ნატოს ევროპული სარდლობის მეთაურმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უსაფრთხოების პოლიტიკიდან ნატო დაშინების პოლიტიკაზე გადადის. (pia.ge)

## თხილის ფასი ისევ დაეცა



დასავლეთ საქართველოში თხილის ფასი კიდევ ერთხელ დაეცა.

ადგილობრივთა თქმით, ამ დროისთვის თხილის ჩამბარებელ პუნქტებში თხილის ფასი 4,20-დან 4,50 ლარამდეა. მოსახლეობის თქმით, ბოლო 3 წელია, ასეთი დაბალი ფასი არ ყოფილა. მათივე განცხადებით, მოსავლის გაყიდვას აზრი არ აქვს. 3 წელზე მეტია, რაც თხილის ფასი ასეთ დაბალ ნიშნულზე არ ყოფილა. შარშან ამ დროს 1 კგ თხილი 11-12 ლარიც კი ღირდა, წელს კი, 1 კგ „გულშიშველა“ – 3 ლარი, „ანაკლიური“ კი 4,20 ლარი ღირს....

მერაბ მებონია, დარჩელში მცხოვრები: „თხილის ფასი, მომატების ნაცვლად, ყოველდღიურად ეცემა. ასეთ რამეს არ ველოდით და ხალხი პანიკაშია. მე და კიდევ რამდენიმე ჩემნაირმა, სახლი ჩავდეთ ბანკში და 1 კგ თხილი 6 ლარად ვიყიდე. მაშინ ძალიან ხარისხიანი იყო, მაგრამ ამდენი თვის შემდეგ, წონაშიც მოიკლო, გულიც გაუშავდა და იქით წელს, შეიძლება 3 ლარში აღარ გაიყიდოს. ადრე, დოლარის კურსის მატებასთან ერთად, თხილის ფასიც იზრდებოდა. ახლა კი პირიქით ხდება. პირადად მე, სანამ მაღალი ფასი იყო, შევძელი და გარკვეული რაოდენობით გავყიდე, მაგრამ არის ხალხი, ვისაც არ გაუყიდია. ერთი სიტყვით, გლეხები პანიკაში არიან, ძალიან ცუდ დღეში არიან თხილის მწარმოებლებიც. თხილზე ფასის ვარდნის მიზეზებს ვერც ისინი ხსნიან, თუმცა ამბობენ, რომ შესაძლოა, უხარისხო თხილს უკავშირდებოდეს“.

ლია კვარაცხელია, თხილის მწარმოებელი: „4 ტონაზე მეტი თხილი მიწყვია სარდაფში. ქარხანაში მივედი, იქნებ ნახევარი მაინც ჩავაბარო-მეთქი, მაგრამ უარით გამომისტუმრეს – ასეთი ხარისხის თხილს ველარ ჩავიბარებთ, რადგან სარდაფში თხილის შენახვის სტანდარტის დაცვას ვერ მოახერხებთო. მათაც ვერ გაემტყუნებინათ, რადგან არიან ისეთები, ვისაც რამდენიმე ტონა თხილი უდევთ და ვერ ყიდიან. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 70% თხილის იმედზე იყო. რამდენიმე თვის წინ 8 ლარი იყო და კიდევ ელოდნენ ფასის გაზრდას. ჩვენც, მწარმოებლები, ყველა ბანკის სესხით ვმუშაობთ, ფასი კი ყოველდღე ეცემა. გვეუბნებიან, რომ ევროპაში ველარ გააქვთ, ქართული თხილი ძალიან უხარისხოა“.

თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე მოწერელიას თქმით, თხილის ფასის მატება უახლოეს დღეებში მოსალოდნელი არ არის.

„მოგეხსენებათ, თხილის ფასს მსოფლიო ბაზარზე თურქეთი განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოსავალი დიდია, პროდუქტის დეფიციტი არ არის ბაზარზე და როდესაც თურქეთში თხილი იაფდება, იაფდება საქართველოშიც... არც ისე დიდი ხნის წინ, როდესაც თხილის ფასი 7 ლარზე იყო, მაშინ მოსახლეობამ არ ჩააბარა. ახლა დაიწია თხილის ფასმა და წუწუნებს ყველა. რატომღაც ეგონიათ, რომ თხილის ფასი მუდმივად მოიმატებდა“. (bpn.ge)

## ვაშაძე: პრეზიდენტს მოსამართლეობის კანდიდატურების შერჩევის კატასტროფული კრიტერიუმები აქვს



საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ვაშაძის შეფასებით, პრეზიდენტს მოსამართლეობის კანდიდატურების შერჩევის მცდარი კრიტერიუმები აქვს. დეპუტატის თქმით, მას შემდეგ, რაც კოალიცია ჩამოიშალა, სხვადასხვა დეპუტატმა დაიწყო რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება და სწორედ ამიტომ ჩავარდა ეს საკითხი.

შეგახსენებთ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ორი კანდიდატურის საკითხი პარლამენტში ჩავარდა.

– პრეზიდენტს აქვს კატასტროფული კრიტერიუმები მოსამართლეების კანდიდატების შერჩევის და იმ პირობებში, როდესაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობა, ფაქტობრივად, არ არსებობს, კოალიცია ჩამოიშალა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დეპუტატმა ცოტა რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო. ამიტომაც არის, რომ კომიტეტზე ჩავარდა ეს საკითხი, კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა ამ კანდიდატურებს და ვნახოთ შემდგომი პროცედურები. ეს საკითხი მაინც გადის სესიაზე მოსასმენად, – განაცხადა ვაშაძემ. (news.ge)

## ლადო სადღობელაშვილი „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკურ გარიგებაში ადანაშაულებს



ლადო სადღობელაშვილმა ინგა გრიგოლიას საავტორო გადაცემაში „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ გარიგებაში დაადანაშაულა.

– თუკი არ იარსებებს „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ „ქართულ ოცნებას“, როგორც პარტიას, აზრი დაეკარგება, რადგან მათი მოსვლის მიზეზი სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება იყო. ახლა კი, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ქართულ ოცნებას აწყობთ ერთმანეთი.

საზოგადოებისთვის თვალისასახვევად სატელევიზიო გადაცემებში დაპირისპირების სცენებს მართავენ. სინამდვილეში, კოორდინებულად მოქმედებენ. როგორც კი გააქტიურდა ნაცმოძრაობა, მაშინვე ხდება ოცნების „გამოღვიძება“ და „ნაციონალებისკენ“ თითის გაშვერა, იქამდე კი მათ წისქვილზე წყლის დასხმის მეტს არაფერს აკეთებდნენ, – განაცხადა სადღობელაშვილმა. (ttaoba.ge)

## ტყემალაძე: ოპოზიციამ ანერვიულა მოსახლეობა, მე თუ მკითხავთ



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ზურაბ ტყემალაძე „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების დასრულებას ეხმაურება. ის მიიჩნევს, რომ კითხვები მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ოპოზიციის განცხადებებმა გააჩინა.

– ოპოზიციამ ანერვიულა მოსახლეობა, მე თუ მკითხავთ. იმიტომ, რომ ენერგეტიკის სამინისტროს არასდროს არ უთქვამს და არ გამოუთქვამს რაიმე ეჭვი ამასთან დაკავშირებით. ის ყოველთვის საუბრობდა იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნა რუსული მხარიდან, ანუ „გაზპრომიდან“ იყო ასეთი, მაგრამ ამასაც ამბობდა, რომ ჩვენ გვინდა, დარჩეს ძველი მოდელი. ბატონი კახის სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგად გაართვეს მოლაპარაკებებს თავი, – აცხადებს ზურაბ ტყემალაძე. (news.ge)

# საქართველოში საჯარო მეტყველების კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა

„საქართველოს ბანკისა“ და **BP**-ის მხარდაჭერითა და „ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა კავშირის“ **(ESU)** ორგანიზებით 16-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის საჯარო მეტყველებაში კონკურსი ჩატარდა. კონკურსში გამარჯვებული და პირველი ადგილის მფლობელები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომელშიც შედიოდნენ საქართველოში ბრიტანეთის ელჩი ალექსანდრა ჰოლ ჰოლი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე, **ESU** საქართველოს პრეზიდენტი მარინა ციციშვილი, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური და „**British Petroleum**“-ის დირექტორი კრის შლიტერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონკურსი მეტყველებაში, რომელიც „საქართველოს ბანკის“ ხელშეწყობით უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს.





**არჩილ გაჩეჩილაძე, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:**

– მეოთხე წელია უკვე, რაც „საქართველოს ბანკი“ მხარს უჭერს ამ კონკურსს, რომელიც რეალურად ხელს უწყობს საჯარო გამოსვლების წახალისებასა და სპიკერობის შესაძლებლობას, რაც ერთ-ერთი საფუძველია ადამიანების წარმატებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანის კარიერული წინსვლისა და განვითარებისთვის, რომ არა მხოლოდ შესაბამისი განათლება მიიღონ, არამედ შეეძლოთ საჯაროდ გამოსვლა და აუდიტორიის წინაშე საუბარი კონკრეტულ თემაზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ჩვენი მონაწილეობა ამ კონკურსში არის წვლილი შეტანილი მომავალი თაობების განვითარებაში.



**მარინა ციციშვილი, „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის“ პრეზიდენტი:**

– უკვე მე-19 წელია, ჩვენი კავშირი მთელი საქართველოს მასშტაბით აწყობს კონკურსს. კავშირი მსოფლიოშია ცნობილი და მასში 64 ქვეყანაა გაერთიანებული, მათ შორის საქართველოც, რომელიც გაერთიანებას 1998 წელს შეუერთდა. ლონდონში ყოველწლიურად 64 ქვეყნიდან ინგლისურად მოსაუბრე საუკეთესო ორატორები იყრიან თავს და იქ ტარდება კონკურსი მათ შორის. სხვათა შორის, ქართველებს გვყავს ასეთი გამარჯვებული, სოფო გორგოძე, რომელმაც ლონდონში 2002 წელს გაიმარჯვა. ამ გამარჯვების შემდეგ მე და სოფო მიგვიწვიეს ბაკინგემის სასახლეში. პრინცმა ფილიპმა, რომელიც მაშინ ამ კავშირის პრეზიდენტი იყო, პირადად გადასცა სოფოს სერტიფიკატი. ძალიან გამიხარდება, თუ წელსაც გვეყოლება ქართველებს ლონდონში გამარჯვებული. კიდევ ერთხელ ვულოცავ გამარჯვებულებს და წარმატებას ვუსურვებ!

**გუგა სუხიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტი, გამარჯვებული:**

– ამ კონკურსის შესახებ 2 წლის წინათ გავიგე პირველად. წინა წლის გამარჯვებული ჩემი ახლო მეგობარი იყო, სწორედ მან მითხრა ამ შეჯიბრის შესახებ, – კარგი იქნება თუ მიიღებ მონაწილეობასო და აი, წელს უკვე მეორედ ვმონაწილეობ. წინა წელს ფინალში გავედი, მაგრამ ვერ მოვიგე, წელს კი გამარჯვებული გავხდი. ცოტა სარისკო თემა მქონდა მომზადებული და ვფიქრობდი, რომ ან გაამართლებდა და ან არა... შევეცდები, მაქსიმალური გავაკეთო და ღირსეულად წარვადგინო საქართველო ჩემი სახით ლონდონში.

**გამარჯვებული 20 წლის გუგა სუხიაშვილი საჯარო მეტყველების საერთაშორისო კონკურსის ფინალში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ლონდონში 9 მაისს ჩატარდება.**

*მარიკა არღვლიანი*

## „თუ „ეროვნული ფორუმი“ ბარიერს ვერ გადალახავს, პარტიამ შესაძლოა, თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს“



– თუ „ეროვნული ფორუმი“ ბარიერს ვერ გადალახავს, მან შესაძლოა, თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს, – აღნიშნული განცხადება პარტიის წარმომადგენელმა, დეპუტატმა სოსო ვახტანგაშვილმა გააკეთა.

მისი განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დაკვეთა იქნება მცირე, „ფორუმი“ ან თვითლიკვიდაციას გამოაცხადებს, ან კიდევ პარტიის ლიდერებს შეცვლის.

– „ეროვნული ფორუმი“ ბარიერის ვერგადალახვის საფრთხეს არ გრძნობს. თუმცა, თუ პარტია, რომელიც სახელისუფლებო ვერტიკალში იყო და არჩევნებში ბარიერს ვერ გადალახავს, ვფიქრობ, ეს პარტია აღარ უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკურ სპექტრში. ჩვენ ამაზე სერიოზულად ვფიქრობთ. „ეროვნული ფორუმის“ წინაშე ეს პრობლემა არ დგას, მაგრამ თუ დადგება და საზოგადოებრივი შეკვეთა ჩვენი პარტიის მიმართ იქნება იმდენად მცირე, რომ ბარიერს ვერ გადავლახავთ, მაშინ „ფორუმმა“ შესაძლოა, თვითლიკვიდაციაც კი გამოაცხადოს, ან კიდევ აბსოლუტურად შეიცვალოს პარტიის ხელმძღვანელობა, არ გვინდა დავემსგავსოთ იმ პარტიებს, რომლებსაც მარადჟამ ერთი და იგივე ლიდერი ჰყავთ, – განაცხადა ვახტანგაშვილმა.

ამასთანავე, დეპუტატი „ქართული ოცნების“, „მრეწველებისა“ და „სოციალ-დემოკრატების“ ალიანსს არ გამორიცხავს.

– არ გამოვრიცხავ, რომ იგივე გაგრძელდეს და ალბათ, ახალი აქ არაფერი იქნება, თუ ისინი იმავე კონფიგურაციით წარდგებიან საზოგადოების წინაშე. ეს არის მათი გადასაწყვეტი და ჩვენი საქმე ეს არ არის, – განაცხადა ვახტანგაშვილმა.

გარდა ამისა, დეპუტატი აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, პარტიები არჩევნების შემდეგ ისევ გაერთიანდნენ.

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კოალიციიდან გასვლაზე გავაკეთეთ განცხადება, არც ერთი ჩვენი პარტნიორისგან არ წამოსულა რაიმე კრიტიკული შენიშვნა. ის ძირითადი ამოცანა, რომელიც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოცილება ხელისუფლების სათავეებიდან, მიღწეულია და ეს მოხერხდა პარტნიორობით. როდესაც კოალიციები იშლებიან, ეს არ ნიშნავს, რომ ერთმანეთის მტრები ვართ. ჩვენ გაგვაერთიანა სერიოზულმა ბრძოლამ და მთელი ამ ხნის განმავლობაში პარტნიორები ვიყავით. თუ მიზანი დადგება და ის ამოცანა იქნება გადასაჭრელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საკითხებს, ეკონომიკურ სიმტკიცეს და სხვა კუთხესაც განავითარებს, არ გამოვრიცხავ, რომ ეს პარტნიორობა შედგეს, – განაცხადა ვახტანგაშვილმა. (frontnews.ge)

## „პატარა ზეწოლები ვიგრძენი“ — ლანა პაპიძე



მაგდა პაპიძის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველი სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა ლანა პაპიძემ, რომელიც ზეწოლაზე საუბრობს:

– აქ ჩემი დის სიცოცხლე წყდება. ჩვენ ნამდვილად ყველანაირად თავს ვიკავებდით, რომ ზედმეტი არაფერი გველაპარაკა. არ იყო ლამაზი, თავიდანვე რომ გამოაქვეყნა პროკურატურამ ბევრი რამ. რომელ საკითხზე გამოუტანიათ აქამდე ამდენი მტკიცებულება, ვითომ ამხელა რეზონანსული საქმეა და ახლა გამოაქვეყნეს მტკიცებულებები?.. ჩემი დის გამო ყველაფერს გავაკეთებთ. რომ მეტყვის, არ მისცეთ ინტერვიუ, არ ვაძლევ. ახლა რაღაც პატარა ზეწოლები ვიგრძენი, რადგან გვიკრძალავენ ელემენტარულად პასუხის გაცემას. რატომ? როცა შენ ამხელა ტყუილს მიმჟღავნებ ჩემს ოჯახზე, მე არ მაქვს უფლება, ჩემი ოჯახი დავიცვა? გამოდის მეზობელი, დედამთილი, აბსურდს ლაპარაკობს და მე ჩემი ოჯახის თავმოყვარეობა არ უნდა დავიცვა? თუ ქუჩაში მყავს ჩემი და ნაპოვნი? – განაცხადა ლანა პაპიძემ. (პირველი რადიო)

## ზურაბ წერეთელმა ჟირინოვსკის სამმეტრიანი ქანდაკება ჩამოასხა



რუსი ოპოზიციონერის ვლადიმერ ჟირინოვსკის იუბილესთან დაკავშირებით მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა ბრინჯაოს სამმეტრიანი ქანდაკება ჩამოასხა. ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს 25 აპრილს 70 წელი უსრულდება.

რუსული მედიის ცნობით, საკუთარი სკულპტურის სანახავად, ჟირინოვსკი ზურაბ წერეთელს ხელოვნების გალერეაში ესტუმრა და რუსული კულტურის განვითარებისთვის გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა.

– ასეთი საჩუქარი პირველად მივიღე, ეს ძალიან სასიამოვნოა. ჩვენი დეპუტატების ჯგუფმა ზურაბ წერეთელს სკულპტურა ორი-სამი წლის წინათ შეუკვეთა. მან დაასრულა ნაშრომი და მომიწვია სანახავად. მეორე ეგზემპლარი შეკვეთილია მსოფლიოს ცივილიზაციათა ინსტიტუტის ეზოში დასადგმელად, – განუცხადა ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებს.

## გურანდა გაბუნია: მიხარია, რომ წავალ და ვითამაშებ მოსკოვში



მსახიობი გურანდა გაბუნია მაისში, მოსკოვში გასტროლზე მიდის. გაბუნიამ დაგეგმილი გასტროლის შესახებ „იბერიის“ ეთერში ისაუბრა.

– როცა დაგვპატიჟეს მოსკოვში სპექტაკლის სათამაშოდ, ძალიან გამიხარდა, იმიტომ რომ მაინც გაუხარდებათ, ქართველი მსახიობი ვარ, ქართულ თეატრში ვმუშაობ. მიმიწვიეს, რომ მეთამაშა „ალუბლის ბაღი“, ჩეხოვის. ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო იმიტომ, რომ ჩეხოვი ძალიან მიყვარს. მიხარია, რომ წავალ და ვითამაშებ მოსკოვში, – განაცხადა გაბუნიამ. (news.ge)

# ხმოვანი წიგნების პირველი ქართული აპლიკაცია — „საბას“ ახალი პროექტი

## აპლიკაცია უსინათლო ადამიანებისთვის უფასო იქნება




ელექტრონული წიგნების სახლის „საბასა“ და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში გაიმართა. „ხმოვანი წიგნები“ – ასე ჰქვია პირველ ქართულ აპლიკაციას, რომლის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

რამდენიმე თვეში უსინათლო ადამიანები „საბასგან“ საჩუქრად ასობით ხმოვან წიგნს მიიღებენ, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული მათზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უსინათლოები ამ წიგნის მოსმენას დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე შეძლებენ.

რაც მთავარია, „საბას“ ხმოვანი წიგნები ნებისმიერი მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი, მის ჩამოტვირთვას კი **saba.com.ge**-დან შეძლებენ.

ეს იქნება ტექნოლოგიურად დახვეწილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხმოვანი წიგნები. მათი მოსმენა შესაძლებელი იქნება აპლიკაციით **Saba Reader**.

**მაია ძირკველიშვილი, „საბას“ დირექტორი:**

– პირველ ეტაპზე, ეს იქნება 400-მდე ხმოვანი წიგნი. შემდეგ პერმანენტულად დაემატება და კატალოგი გამდიდრდება. წიგნებს ექნება ყველა ის ფუნქცია, რაც თანამედროვე ხმოვანი წიგნების სტანდარტებით მოითხოვება. ნებისმიერი მსურველი „საბას“ აპლიკაციის მეშვეობით შეძლებს ხმოვანი წიგნების მოსმენას. ეს აპლიკაცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, რომ ელექტრონული წიგნები წაიკითხოთ, სექტემბრიდან უკვე მოსმენის საშუალებასაც მოგცემთ – შეგეძლებათ, გადაახვიოთ, დააპაუზოთ, ექნება სარჩევი, ჩანიშვნა, ტემპის აჩქარება, ტემპის შენელება. რაც მთავარია, ამისთვის ინტერნეტი არ იქნება საჭირო, მოსმენას ნებისმიერი მოწყობილობით შეძლებთ. ვინაიდან პირველ რიგში, ეს არის სოციალური პროექტი, საჩუქარია უსინათლო ადამიანებისთვის. ჩვენ ვზრუნავთ, რომ ეს აპლიკაცია ადაპტირებული იყოს უსინათლო ადამიანებზე და მათ დამოუკიდებლად, ხმოვანი პროგრამის საშუალებით შეძლონ აპლიკაციის ჩართვა, წიგნის არჩევა, წიგნში კონკრეტული მოთხრობის, ან სათაურის არჩევა და ყველა იმ კომფორტით სარგებლობა, რასაც აპლიკაცია სთავაზობს.

**პროექტის ფარგლებში შეიქმნება პირველი ქართული ხმოვანი წიგნების აპლიკაცია, რაც საშუალებას იძლევა რამდენიმე ასეული ხმოვანი წიგნი ნებისმიერი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდეს და რაც მთავარია, უსინათლო ადამიანებისთვის წიგნები უფასო იქნება. ისინი დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე, ადაპტირებული აპლიკაციის საშუალებით შეძლებენ, მოისმინონ როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურაც.**

„საბა“ მწერლებს, მსახიობებს, ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ, ჩაწერონ, ან უკვე აქვთ წიგნების აუდიოჩანაწერები, სთავაზობს, რომ „საბას“ ამ ახალი პლატფორმის მეშვეობით თავიანთი აუდიომასალა ხმოვან წიგნებად გადააქციონ და ყველა მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადონ.

– მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა და ჩვენს საუკუნეში დღეს უკვე შესაძლებელია, რომ უსინათლო და მცირედმხედველ ადამიანებს ჰქონდეთ მაქსიმალური საშუალება, კომფორტულად მოუსმინონ წიგნებს და გაეცნონ სხვადასხვა ლიტერატურას. სწორედ ამიტომ, ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ გადაწყვიტა, რომ სიამოვნებით დაუჭიროს მხარი „საბას“ „ხმოვანი წიგნების“ იდეას. – ერთად ჩავწეროთ დაახლოებით 400-მდე აუდიოწიგნი მცირედმხედველი და მხედველობადაკარგული ადამიანებისთვის და რაც მთავარია, ამით ბავშვები გავახაროთ“, – განაცხადა **ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ კანონის, მედიისა და ჯანმრთელობის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნინო კიკნაძემ.**



სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების აუდიოჩანაწერები, აუდიოფაილების სახით, ინტერნეტში მრავლადაა განთავსებული, დაცულია ფონდებსა და არქივებში. „საბას“ მაღალტექნოლოგიური პლატფორმა შესაძლებელს გახდის, ნებისმიერი ლიტერატურული აუდიოჩანაწერი, ძველი თუ ახალი, თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ხმოვან წიგნად გადაიქცეს.

– მე მირჩევნია, ელექტრონული წავიკითხო, ვიდრე აუდიო, მაგრამ აუდიოსაც ვუსმენ. როცა აუდიოს ვუსმენ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორ არის გახმოვანებული, როგორ ისმინება“, – **აღნიშნა 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლემ, შაბან მამედოვმა.**

როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, „ხმოვანი წიგნები“ ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე სხვა უსინათლო ადამიანებისთვის და არა მარტო მათთვის, ზოგადად, საზოგადოებისთვის.

– უპირველეს ყოვლისა, ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ინტონაციით კითხულობს, ვინ კითხულობს, როგორ კითხულობს, როგორი ხარისხითაა ჩაწერილი. როგორც მოგეხსენებათ, უსინათლო და მცირედმხედველ მოსწავლეებს ძალიან ნატიფი სმენა აქვთ და თითოეულ ხარვეზს ძალიან მწვავედ აღიქვამენ და თუ ცუდად არის ჩაწერილი, რა თქმა უნდა, მოსმენაც დამღლელია. აქედან გამომდინარე, მოხარული ვარ და მივესალმები ამ ახალ იდეას“, – განაცხადა 202-ე **უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის დირექტორმა ხათუნა ჯალაღონიამ.**

იმისთვის, რომ უსინათლო ადამიანებმა სხვის დაუხმარებლად, კომფორტულად შეძლონ „საბას“ „ხმოვანი წიგნების“ ჩამოტვირთვა და მოსმენა, „საბას“ აპლიკაცია უსინათლოთა სპეციალურ ხმოვან პროგრამასთან ადაპტირებული იქნება.

პოეტ რატი ამაღლობელის თქმით, პროექტი ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდული მხედველობის მქონე ადამიანებისთვისაა, ვინაიდან ადაპტირებული აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებლობა ეძლევათ, მსოფლიო ლიტერატურას გაეცნონ.

*დარინა ქამადაძე*

## ონიშჩენკო დუმაში შედის



„როსპოტრებნადზორის" ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ქვეყნის პრემიერის თანაშემწე გენადი ონიშჩენკო რუსეთის სახელმწიფო დუმაში იყრის კენჭს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული **РБК** ავრცელებს. არსებული ინფორმაციით, ის კონკურენციას გაუწევს ოპოზიციური პარტია „იაბლოკოს" კანდიდატ გენადი გუდკოვს.

როგორც **РБК** წერს, მათ ონიშჩენკოს შესახებ ინფორმაცია ორმა წყარომ მიაწოდა, რომლებიც მმართველი პარტიის მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირები არიან. მათი თქმით, ონიშჩენკო პარტიის პრაიმერისში მიიღებს მონაწილეობას. **РБК**-ს ეს ინფორმაცია მთავრობაში მყოფმა წყარომაც დაუდასტურა, რომლის განცხადებითაც, ეს საკითხი „ედინაია რასიას" თავმჯდომარესთან პრემიერ დიმიტრი მედვედევთან უკვე შეთანხმებულია.

აღსანიშნავია, რომ თავად ონიშჩენკომ ამ ყველაფრის შესახებ არაფერი იცის.

– გაკვირვებული ვარ ამ უცნაური ახალი ამბით. მე მამხნევებს და მახარებს, რომ ჩემ მიმართ ინტერესი ასეთი ეგზოტიკური ფორმით გამოიხატა, – განუცხადა მან **РБК**-ს. (news.ge)

## რუსეთმა საქართველოში უკრაინული საკონდიტრო ნაწარმი არ გამოატარა



რუსეთმა საქართველოში უკრაინული საკონდიტრო ნაწარმი არ გაატარა. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსს" ასოციაცია „უკრკონდპრომის" პრეზიდენტმა ალექსანდრ ბალდინუკმა განუცხადა.

– ამ დღეებში რუსულმა საბაჟომ ლარსის საბაჟო პუნქტზე ყველა ჩვენი ტვირთი გააჩერა და საქართველოში ჩვენი პროდუქციის მიწოდება დაბლოკა, – განაცხადა ბალდინუკმა.

მისი თქმით, რუსულმა მხარემ განმარტა, რომ უკრაინული საკონდიტრო პროდუქციის ტრანზიტი აიკრძალა სანიტარიული ემბარგოს გამო.

ბალდინუკის მოსაზრებით, უკრაინამ ალტერნატიული ტრანზიტი უნდა შეიმუშაოს, რომელიც შავი ზღვის გავლით გავა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



## საარჩევნოდ „პური და სანახაობა" „ოცნების" ხელისუფლებასაც გაახსენდა




### მსოფლიო ვარსკვლავების კონცერტებზე სამ თვეში 29 მილიონი დაიხარჯება

„საქართველო მსოფლიო კალენდარზე" – ამ სლოგანით საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით 2016 წლის აპრილიდან მასშტაბური პროექტი „ჩჰეცკ ინ ჩეორგია" იწყება, რომელიც მოიცავს ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით ქვეყნის 19 ქალაქში დაგეგმილ კონცერტებს, 35 ფესტივალს. ესენია: თეატრალური ფესტივალები, კინოფესტივალები, მუსიკალური ფესტივალები, ანიმაციური ფილმების ფესტივალები, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალები, ქორეოგრაფიული ფესტივალი, მოდის კვირეულები, ფოტოფესტივალები და ა.შ. ყველაზე ხმაურიანი კი ამ ჩამონათვალში 4 მეგავარსკვლავის სახელია: ეროს რამაზოტი (24 აპრილი, თბილისი), რობი უილიამსი (27 მაისი, თბილისი), ჯგუფი „Мაროონ 5" (7 ივნისი, ბათუმი), ხოსე კარერასი (18 ივნისი, ქუთაისი).

როგორც ჩანს, მთავრობამ მსოფლიო კალენდარს სხვა დღის წესრიგი ვერ შესთავაზა და ამას ისევ საქართველოს ჯიბეგაფხეკილი მოქალაქეების ხარჯზე აპირებს, თან გვამადლიან კიდეც, რომ სულ რაღაც 20 ლარიდან დაიწყება მეგავარსკვლავების კონცერტზე მოსახვედრი ბილეთების ღირებულება და სადამდე ავა, არავინ იცის.

კონცერტების ორგანიზებას და სხვა ხარჯებს ალბათ, ბიუჯეტის თანხებით მოაგვარებენ, რა პრობლემაა, თუკი ქვეყნის მცხოვრებთა მესამედზე მეტი შიმშილის ზღვარზეა, როდისმე ახსოვდათ ხალხი? ერთი, საყოველთაო დაზღვევა გააკეთეს და ლამის ძმრად ამოგვადინეს.

როგორც ჩანს, მოქალაქეების დასაბნევად, მთავრ ორგანიზატორად კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს ასახელებენ, დაგეგმილი „საყოველთაო მხიარულების" ერთ-ერთ მთავარ „გაპრავებად" კი ორგანიზატორები საქართველოში ტურიზმის ზრდით ხსნიან, თუმცა თუ მეგავარსკვლავების კონცერტების კალენდარს გადავხედავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ ზაფხულის სეზონიც კი არაა ამ პერიოდისთვის დამდგარი და რაიმე ტურისტულ გარღვევას არა მგონია, ადგილი ჰქონდეს მხოლოდ კონცერტების გამო, თუნდაც, ბათუმში, ვის უნახავს ივნისის დასაწყისში დამსვენებლების პიკი?

მაშინ საინტერესოა, რა ჩაიფიქრა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში სააკაშვილის ტაშ-ფანდურის ქილიკითა და ამ ბიუჯეტიდან არამიზნობრივი თანხების ხარჯვის აღმოფხვრის დაპირებით მოვიდნენ? ახლა, საარჩევნო წელს უცებ რატომ გადაწყვიტეს მსოფლიო ვარსკვლავების ჩამოყვანა? უი, ეს ოთხი წელი ტურისტების ბუმი იყო, ახლა მოიკლო და არ ვიცოდით?

პური და სანახაობა „ბრბოს" გულის მოსაგებად და პოლიტიკური ქულების ჩასაწერად ყველა ხელისუფლებისათვის არახალი მეთოდია. ჰოდა, პური რომ მოანატრა ხალხს ამ ხელისუფლებამ, სანახაობას მაინც მოაწყობენ, შენ დაუკააააააარრრრ... მიშაც ასე უკრავდა და თავის დაკრულზე ცეკვავდა კიდეც, მაგრამ კონცერტებზე ჩამოყვანილი ვარსკვლავებით სხვადასხვა მსოფლიო არხებზე მაინც იპიარებდა თავს.

სანახაობა კი, რომელსაც წინასაარჩევნოდ გადმოგვიგდებენ, მილიონობით დოლარი დაჯდება და თუკი ეს ბიზნესზე გათვლილი კონცერტებია, თუნდაც ტურიზმისთვის, ამას საპრომოუტერო ბაზარი და ჯანსაღი კონკურენცია უნდა არეგულირებდეს და არა სახელმწიფო, მაგრამ თავის თავზე სახელმწიფო და კულტურის უწყება იღებს. როგორც ჩანს, კულტურის მინისტრის დანიშვნის წინ არსებული ვარაუდი, რომ მიშა გიორგაძე „ნაციონალური მოძრაობის" სტრატეგიის გამგრძელებელი იყო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ნაცვლად კვლავ პრომოუტერობას გააგრძელებდა, ახდა. ქვეყანა კი მსოფლიო რუკაზე ახლა საყდრისის ნაცვლად რობი უილიამსით, ეროს რამაზოტით და სხვა მეგავარსკვლავებითა თუ ცნობილი ჯაზ-შემსრულებლებით და „ჯემ ფესტით" დაბრუნდება... ჩამორჩენილი სხვადასხვა ხელოვნების დარგები კი ისევ ძველებური ტემპით თავისით, დაუფინანსებლად „განვითარდება". შესაშური არჩევანია, ვერაფერს იტყვი...

მაინც რამდენი ჯდება მშიერი ხალხისთვის ასეთი „მრავალსერიიანი" სანახაობის მოწყობა, თუ წინასაარჩევნო ტრიუკი? – ამაზე პასუხი კულტურის მინისტრმა გასცა. მისი თქმით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცჰეცკ ინ გეორგიასთვის დაახლოებით 29 მილიონი ლარი გამოიყოფა.

საინტერესოა, კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის ფუნქცია რაღაა, თუ ინვესტირებას ხელისუფლება აკეთებს? ასევე, საინტერესოა, წინა ხელისუფლება უფრო მეტს ხარჯავდა მეგავარსკვლავების კონცერტებსა და სანახაობებში „ოცნების" ხელისუფლება?

ამის გასარკვევად „ალია" კულტურის ყოფილ მინისტრს, საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის" დამფუძნებელს ნიკა რურუას დაუკავშირდა: „თანხა, 29 მილიონი, ცოტა მებევრება, ძვირია, ამდენი არასოდეს არ დაგვიხარჯავს ჩვენ. მაგრამ, ზოგადად, ფესტივალების ხელშეწყობა ხელისუფლების მხრიდან, თუ ეს არ უკავშირდება არჩევნებს და არის კულტურის ნაწილი, მაშინ ნორმალურია და დასაშვები, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ აქ არჩევნებთან არის მიბმული და თან 29 მილიონი ძალიან ძვირია. მე რაც ვიცი, ეს თანხაა და მეტი რომ არ იყოს, ესეც ძალიან ძვირია.

რაც შეეხება კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს, ეგ რა ჯანდაბა არის, არ ვიცი, ჩემი მინისტრობის დროს ასეთი ფონდი არ არსებობდა, მაგრამ ცალსახაა, რომ ეს ბიუჯეტის ფულია და არავითარი ინვესტიცია ამ ფონდში არ შევა".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, მთავრობის მხარდაჭერილი ფესტივალების ჩამონათვალში, ასევე, არის „ბათუმის ჯაზ-ფესტივალიც, რომლის ორგანიზატორიც აქამდე ყოველთვის კომპანია „ისთერნ პრომოუშენი" იყო, რომლის სულისჩამდგმელიც აწ უკვე გამინისტრებული მიშა გიორგაძეა, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, უკვე სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით აგრძელებს მოღვაწეობას.

მოკლედ, არჩევნებამდე პოლიტიკური თუ კულტურული სანახაობა რომ არ მოგვაკლდება უკვე ცხადია, მაგრამ, ასევე, საინტერესოა, სად წავა კონცერტებიდან და ფესტივალებიდან შემოსული თანხა?

ასე რომ, სანამ, უბრალოდ, ერთი შეხედვით სასიამოვნო ინფორმაციას მოისმენთ და გაიხარებთ, რომ თბილისში თვით რობი უილიამსსაც კი ნახავთ, დაფიქრდით რის ფასად აკეთებს ამას მთავრობა. მაშინ როცა ჯანდაცვის სამინისტრო, „ნაციონალი" ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ხარჯებსაც კი ვერ ფარავს სტაბილურად და საავადმყოფოებს, ფაქტობრივად, გაკოტრების რეჟიმში ამყოფებს, მილიონზე მეტი თანამოქალაქე შიმშილის ზღვარზეა და ამდენივე ლუკმაპურის საშოვნელად ყოველდღიურად იბრძვის, რამდენად მორალურია საყოველთაო „თუხთუხისა" და სააკაშვილის პოლიტიკის გაგრძელება? ისე, მეც კაი რამე გამომივიდა, რა მორალი, რის მორალი!!!

ზოგი იტყვის, ეს ერთმანეთთან რა კავშირიაო, მაგრამ ფაქტია – ყოველი მთავრობა, რომელიც წურბელებივით ჩამოკიდებიან ბიუჯეტს და ხან 2 ნაჭერ პურს გადაუგდებენ ხალხს და ხან სანახაობას, თან მაშინ, როცა არჩევნები კარს მომდგარა, ამაზე არაფერი უნდა ვთქვა?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## საქართველო ამ დროისთვის ბუნებრივ აირს რუსეთიდან იღებს

შაჰ-დენიზის გაზსადენზე შეფერხების გამო საქართველო ამ დროისთვის ბუნებრივ აირის რუსეთიდან იღებს. განცხადებას ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი აკეთებს:

– ასე იყო შარშან ზაფხულში, როდესაც აფეთქების გამო სამხრეთ კავკასიურ მილსადენზე იყო გარკვეული პრობლემები. შაჰ-დენიზი რთული გეოლოგიური პირობების მქონე საბადოა, არის ხოლმე შეფერხებები. შეფერხების შესახებ შეტყობინება მივიღეთ. შესაბამისად, ბუნებრივ აირს ვიღებთ ალტერნატიული წყაროებიდან, რაც გვაქვს – ყაზახის მილსადენი და რუსეთიდან შემომავალი მილსადენი. ეს არის სუფთა ოპერატიული მართვის თემა. თუ რაღაც შეფერხებაა ერთ წყაროზე, დეფიციტს ვავსებთ ალტერნატიული წყაროებით, რათა შენარჩუნებული იყოს უწყვეტი გაზმომარაგება და ეს არ იგრძნოს არც ერთმა მომხმარებელმა, – აღნიშნა მარიამ ვალიშვილმა. (პირველი რადიო)

## „პანამის დოკუმენტების" გამოქვეყნების უკან აშშ დგას – ვლადიმერ პუტინი



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიიჩნევს, რომ ე.წ. „პანამის დოკუმენტების" გამოქვეყნების უკან აშშ დგას.

– „ვიკილიკსმა" გვაჩვენა, რომ ამ ამბის უკან აშშ-ის ოფიციალური პირები და ორგანოები დგანან. ისინი ზოგჯერ საკუთარ თავს უფლებას აძლევენ, საჯაროდ მოგვაყენონ შეურაცხყოფა, ამისთვის ადმინისტრაციის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა ბოდიშიც მოიხადა, თუმცა არა იმიტომ, რომ შერცხვათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მათზე ჭკვიანები არიან, ვინც ეს გააკეთა, – განაცხადა პუტინმა.

ე.წ. „პანამის დოკუმენტების" თანახმად, ოფშორული კომპანიების საშუალებით რუსეთიდან 2 მილიარდამდე აშშ დოლარის გატანა მოხდა. საქმეში რუსეთში ცნობილი პოლიტიკოსები, მათ შორის პუტინის მეგობარი, მუსიკოსი, ვიოლონჩელისტი სერგეი როლდუგინი ფიგურირებს. (ნიუპოსტი)

## აჰა, შეჭამენ და დაჯიჯგნიან ახლა ამ ქალს!..



– სხვა სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანური ნაკლი, – ამ მოსაზრების გამო პრეზიდენტის მიერ წარდგენილი უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატი ნინო თოდუა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკის ობიექტი გახდა.

ისინი თოდუას ჰომოფობიური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებენ და პრეზიდენტს კანდიდატურის უკან გატანას სთხოვენ.

– ნაკლი ყველას აქვს, მე ჩემი ნაკლი მაქვს, იმათ ეს ნაკლი აქვთ. ყველამ თავის ნაკლზე უნდა იზრუნოს. მე რომ ვინმემ მითხრას, რომ თქვენი ნაკლია ის, რომ თქვენ ხშირად სხვას განიკითხავთ – მაქვს ეს ნაკლი – მე რომ ვთქვა, არა, ეს ნაკლი არ არის, სწორი იქნება? მას ამ მხრივ ჩემზე უკეთესი მდგომარეობა აქვს, მაგრამ ეს ნაკლი აქვს. სხვა სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანური ნაკლი, – განაცხადა თოდუამ.

ცნობისთვის, პარლამენტში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატებთან დაკავშირებით იმსჯელეს. პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ორივე კანდიდატურა ჩავარდა. (პირველი რადიო)

## „გამოვრიცხავ თსუ-ს რექტორობაზე ჩემი მხრიდან განაცხადის გაკეთებას“ — კვერენჩხილაძე



საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივანი, გიორგი კვერენჩხილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ერთ-ერთ კანდიდატად მის დასახელებას გამორიცხავს.

მისი განმარტებით, გავრცელებული ხმები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება და არც თავად აპირებს თსუ-ს რექტორის კანდიდატურაზე განაცხადის გაკეთებას:

– დადასტურებული ფაქტია ის, რომ ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. თუმცა, ის, რაც ამ შემთხვევაში ვრცელდება ჩემზე რექტორობის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ეს არის სრულებით წარმოუდგენელი ფანტაზიის ნაყოფი. მე ცალსახად და კატეგორიულად გამოვრიცხავ ჩემი მხრიდან რექტორის კანდიდატურაზე განაცხადის გაკეთებას, გამომდინარე რამდენიმე გარემოებიდან. კერძოდ, უნივერსიტეტი ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის არ არის მხოლოდ სამუშაო ადგილი და რიგითი დაწესებულება, უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების ნაწილია.

პირველ რიგში, უნივერსიტეტს და საკუთარ თავს არ ვაკადრებ იმას, რომ რექტორის კანდიდატურაზე კენჭი ვიყარო. არ ვთვლი ჩემს კანდიდატურას ჯერ იმ დონეზე შესაფერისად, რომ გავბედო და ეს განაცხადი გავაკეთო, – განაცხადა გიორგი კვერენჩხილაძემ.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ცნობილი გახდა გიორგი კვერენჩხილაძის მხრიდან პრეზიდენტის აპარატში დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ. მისი თქმით, სამომავლო გეგმები უნივერსიტეტში მის საქმიანობას უკავშირდება. (ნიუპოსტი)

## მიხეილ მაჭავარიანი — პრეზიდენტს „ნიჩურტი“ ჰქონდა



– პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დიდი ხანია, უნდა იცოდეს, რომ მისი გამოსვლა რიგითი მოქალაქეების განცხადებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და აქვს სხვა პასუხისმგებლობა, – ასე ეხმაურება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი პრეზიდენტის განმარტებას საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემული განკარგულების ამოქმედების თარიღად 8 აგვისტოს განსაზღვრის შესახებ.

როგორც მაჭავარიანი აცხადებს, „ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილებას მიესალმა და ჰქონდათ მხოლოდ ერთი კრიტიკული შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციები არ გაიმართა.

– ნორმები, რომლებიც ძალაში შედიოდა ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვის, პოლიტიკური პარტიებისთვის საჯარო სივრცეების უფრო მეტი გახსნილობის, საარჩევნო კომისიების ფორმირების, კვალიფიციური სუბიექტებისთვის სატელევიზიო ეთერის დათმობის კუთხით, ჩვენ გავიგეთ, როგორც გზავნილი, რომ პრეზიდენტი უკვე მზად იყო ამ ყველაფრისთვის. ასე იმიტომაც გავიგეთ, რომ მანამდე საუბარი შედგა პრემიერ-მინისტრთან და გვქონდა ეჭვი, რომ მათ ამ ხარჯებზეც ილაპარაკეს და მსხვერპლზე წავიდნენ, რომ მარტო მათი ხელფასებისა და დანამატების ზრდა კი არ მოხდება, არამედ გაიხსნება ველი საარჩევნო კამპანიისთვისაც. ახლა როგორც ხედავთ, პრეზიდენტი დაკავებულია იმის მტკიცებით, რომ მან არ იცოდა, „ნიჩურტი“ ჰქონდა, სხვას რამეს გულისხმობდა და 8 აგვისტოს გავიგებთ, რომ 8 ოქტომბერი დადგება. მე ამას გუშინ ტაკიმასხარაობა ვუწოდე და დღესაც იგივეს ვუწოდებ. საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი უფლებები და მოვალეობები ვერ გაათვითცნობიერა, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## დაკარგული ახალგაზრდის ოჯახი „ენგურჰესის“ პარალიზებით იმუქრება



დაკარგული ახალგაზრდის ოჯახის წევრებმა, რომლებმაც ფოთში საპროტესტო აქცია გამართეს, სამართალდამცავებსა და შესაბამის სამსახურებს რამდენიმედღიანი ვადა მისცეს, რათა გიგა გოგოხიას მოძებნა შეძლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასშტაბური საპროტესტო აქციებითა და „ენგურჰესის“ პარალიზებით იმუქრებიან.

28 წლის დაკარგული ახალგაზრდა აფხაზეთის სოფელ საბერიოდანაა. იგი ფოთში დაიკარგა და მისი ძებნა ამ დრომდე უშედეგოდ გრძელდება. ოჯახი საქმეში ცენტრალური ხელისუფლების ჩართვას მოითხოვს. ისინი პოლიციის მუშაობით უკმაყოფილონი არიან. (ინტერპრესნიუსი)

## საფრანგეთი პროსტიტუციას კრძალავს



2-წლიანი დებატების შემდეგ საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატა ბოლო მოსმენით განიხილავს პროსტიტუციის აკრძალვის კანონპროექტს, რომელიც მთავრობის ინიცირებით არის შეტანილი.

პირველი მოსმენა კანონპროექტზე 2013 წლის დეკემბერში გაიმართა.

კანონპროექტის მიხედვით, ე.წ. კლიენტებს ეკრძალებათ სექსუალურ მომსახურებაში თანხის გადახდა. მსგავსი კანონი შვედეთში 1999 წლიდან მოქმედებს.

წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, პირები, რომლებიც სექსისთვის ფულს გადაიხდიან, პირველ ჯერზე 1500, ხოლო განმეორებით შემთხვევაში 3500 ევროთი დაჯარიმდებიან.

„ფრანსპრესის“ ინფორმაციით, სექსმუშაკები ეროვნული ასამბლეის შენობის წინ გაფიცვის მოწყობასა და კანონპროექტის გაპროტესტებას აპირებენ, რომელიც მათ სამუშაო ადგილებს დააკარგვინებს. არსებული მონაცემებით, დღესდღეობით საფრანგეთში 30-40 ათასი სექსმუშაკია.

ამ დროისთვის პროსტიტუცია საფრანგეთში ლეგალიზებულია, თუმცა საჯარო ადგილებში კლიენტების მოზიდვა და რეკლამირება აკრძალულია. ასევე, აკრძალულია ბორდელები. (euronews.ge)

## საია პრემიერს მოუწოდებს, არ მოაწეროს ხელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არჩევნების თარიღთან დაკავშირებით



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პრემიერს მიმართავს და მოუწოდებს, არ მოაწეროს ხელი პრეზიდენტის განკარგულებას. არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია ამას საარჩევნო თარიღის ხელოვნურ გადავადებად აფასებს, რაც შესაძლოა, უარყოფითად აისახოს წინასაარჩევნო გარემოზე.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ჩანაწერი ემსახურება არჩევნების თარიღის ხელოვნურ გადავადებას, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან, ასევე, ამას შეუძლია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს წინასაარჩევნო გარემოზე. სამართლებრივად სწორი გამოსავალი ამ შემთხვევაში იქნება ის, რომ მთავრობამ და პრემიერმა ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და დაუბრუნოს პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, – განაცხადა ანი ნაცვლიშვილმა. (ნიუპოსტი)

## სოსო ცისკარიშვილი — ძველი გუნდიდან პარლამენტში ისევ აღმოჩნდებიან სუპერერთგულნი: მეჭიაური, „შენჭიაური“, „ისჭიაური“



– სახელდახელოდ შეკოწიწებულმა კოალიციამ რღვევა დაიწყო მისი ნათლიმამის დაუოკებელი სურვილის გამო – მიეჭირხვნა „თავისუფალ დემოკრატთა“ თავისუფლება, – აცხადებს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი.

ცისკარიშვილი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შექმნილ ვითარებას აფასებს და მის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს.

– „ქართულ ოცნებაში“ რღვევა შეუქცევად პროცესად მას შემდეგ იქცა, რაც კოალიციის წიაღში საჯაროდ ამოტივტივდა „ევრაზიული ფრაქცია“, რაც მიუღებელი იყო არა მხოლოდ „რესპუბლიკელებისა“ და „ეროვნული ფორუმისთვის“, არამედ თავად მეოცნებეთა არც თუ მცირე ჯგუფისთვისაც. შედეგი სახეზეა... – აცხადებს ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის შესახებაც გამოთქვამს მოსაზრებას და „კადრებთუხუცესს“ საკადრო პოლიტიკას უწუნებს.

– პარადოქსია, რომ საქვეყნოდ აღიარებული კადრებთუხუცესის ყველაზე სუსტი წერტილია მისი საკადრო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც საკვანძო თანამდებობაზე წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ შპს „ქართუში“ ნამუშევარი მისი ერთგული პირი, განურჩევლად მისი პროფესიისა და გამოცდილებისა.

„ძველი გუნდიდან“ მეოცნებე პარლამენტში უთუოდ აღმოჩნდებიან სუპერერთგულნი – მეჭიაური, შენჭიაური, ისჭიაური და და-ძმანი მათი. სხვებს კი, წარმატების მოლოდინში უძილო ღამეები ელით, – აღნიშნავს პოლიტოლოგი. (ინტერპრესნიუსი)

## იენს სტოლტენბერგი — რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, საქართველოსა და მოლდოვაში კი ჯარები ჰყავს



– რუსეთი ნატოს წევრი ქვეყნებისთვის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ მოსკოვი უფრო აგრესიული გახდა, – ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა და აღნიშნა, რომ მოსკოვს ჯერ კიდევ ჰყავს ჯარები განლაგებული საქართველოში.

მისი თქმით, ვლადიმერ პუტინის რუსეთი, თავის მცდელობაში, აღადგინოს გავლენის სფერო საკუთარი საზღვრების გარშემო, „მზად არის, გამოიყენოს სამხედრო ძალა, დააშინოს მეზობლები, შეცვალოს საზღვრები ევროპაში, მან მოახდინა ყირიმის ანექსია, აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაცია, საქართველოსა და მოლდოვაში კი ჯარები ჰყავს“.

სტოლტენბერგის თქმით, ამაზე საპასუხოდ ნატო უფრო მომზადებული გახდა, ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალები სამჯერ გაიზარდა.

როგორც სტოლტენბერგმა აღნიშნა, ნატო არ ეძებს რუსეთთან კონფრონტაციას და ცივი ომის დაწყებას არ აპირებს.

ალიანსის გენერალურმა ალიანსმა ასევე განაცხადა, რომ ნატო უნდა გახდეს უფრო ეფექტური „საწვრთნელი ალიანსი“ და ამ მიზნით ნატო წვრთნის სამხედრო ძალებს ავღანეთში, იორდანიაში, მოლდოვასა და საქართველოში. (ინტერპრესნიუსი)

## ბანგლადეშში სტუდენტი ათეისტური შეხედულებების გამო მოკლეს



ბანგლადეშში სტუდენტი ათეისტური შეხედულებების გამო მოკლეს. „ბიბისის“ ინფორმაციით, ნაზიმუდინ სამადი, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, დედაქალაქ დაკაში მოკლეს. ის ჯერ მაჩეტეებით დაჭრეს, შემდეგ კი ესროლეს.

28 წლის სამადი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო იმ ჯგუფისა, რომელიც სეკულარიზმის იდეის ადვოკატირებას ახდენდა. პოლიციას მკვლელობაში ეჭვმიტანილი არ ჰყავს.

როგორც ცნობილია, სამადი რეგულარულად გამოდიოდა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ.

ბანგლადეში ოფიციალურად სეკულარული სახელმწიფოა, თუმცა, სეკულარული შეხედულებების მქონე ადამიანს ხშირად ესხმიან თავს. მაგალითად, გასულ წელს სეკულარიზმის მხარდამჭერი ოთხი ბლოგერი მოკლეს. (ინტერპრესნიუსი)

## ისემც თქვენი კურკლი გახმეს, ყველასი!..



– რუსეთი მთიან ყარაბახში კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებულია, – აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ირანელ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ, სერგეი ლავროვმა მთიანი ყარაბახის კონფლიქტზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმება არ დაირღვევა.

– მოსკოვი მთიან ყარაბახში კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებულია. ვფიქრობთ, არსებული სიტუაცია მოითხოვს, რომ ყველა ჩვენგანი უფრო აქტიურად იყოს ჩართული მიმდინარე პროცესებში, რათა საკონტაქტო ხაზთან საბოლოო შეთანხმება მოხდეს და ნდობა აღდგეს. მათ ეს საკითხი ეუთოს მინსკის ჯგუფის სპეციალურ წარმომადგენელთან და ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთანაც განიხილეს, – განაცხადა მან. (ipress.ge)

## უკრაინის პრეზიდენტმა ნიდერლანდების რეფერენდუმს „ევროპაზე თავდასხმა" უწოდა

უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ, ნიდერლანდებში, უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმს ევროპაზე თავდასხმა უწოდა.

– მინდა ყველას შევახსენო, რომ რეფერენდუმის ორგანიზატორების მიზანი უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება არ იყო. ეს არის თავდასხმა ევროპის ერთიანობაზე, თავდასხმა ევროპული ღირებულებების გავრცელებაზე, – განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ნიდერლანდების კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული რეფერენდუმი საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ნიდერლანდების ხელისუფლება მიიღებს.

ნიდერლანდებში რეფერენდუმი 6 აპრილს ჩატარდა – წინასწარი მონაცემებით, რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეთა 61,1 პროცენტი უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების რატიფიცირების წინააღმდეგია. თუმცა, საბოლოო პასუხი 12 აპრილს, ოფიციალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი, როცა საკუთარ პოზიციას ნიდერლანდების მთავრობაც დააფიქსირებს. (ნიუპოსტი)




გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


# საპარლამენტო კოალიციაში ახალი სკანდალი მწიფდება

### რის გამო უპირისპირდებიან „ოცნების" წევრები პარტიულ ბოსებს?






არ არის გამორიცხული, ამ დღეებში კოალიციაში მორიგი სკანდალი აგორდეს. მოგეხსენებათ, კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება" მიდიან დათმობაზე, რათა „რესპუბლიკელებს" საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შეუნარჩუნდეთ თანამდებობები, რათა მიეცეთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საშუალება და როგორმე გადალახონ ბარიერი. ამ საკითხზე „ქართული ოცნების" წევრები თურმე უკვევე სერიოზულ პროტესტს გამოთქვამენ პარტიულ ბოსებთან.

როგორც უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე ამბობს „ალიასთან": „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ უნდა გველირსოს ნორმალური საპარლამენტო არჩევნები? ჩვენ გვინდა, რომ ადმინისტრაციული რესურსი საერთოდ არ იყოს გამოყენებული. თუ ახლა ჩვენ ვილაცას გავურიგდებით, მივეხმარებით და ბარიერს გადავალახვინებთ, ამაზე, არ ვართ თანახმა. მე პირადად არ ვარ დარწმუნებული, რომ ასე არ მოხდება".

რა მოხდა 2012 წლის შემდეგ, როცა თავად ბიძინა ივანიშვილი გამოდიოდა და ჯიუტად ამტკიცებდა, „რესპუბლიკელები" განათლებული ხალხია, ერუდირებულები არიან და მათთან მუშაობა საამაყოც კი გახლავთო? რატომ გახდნენ ისინი მისი „მტრები" გიორგი მარგველაშვილისა და ირაკლი ალასანიას შემდეგ? რა გამოდის, ყველა საზიზღარი გახდა კოალიციაში და მხოლოდ „ქართული ოცნება" დარჩეს, როგორც ფეხდაუდგმელი ქათქათა თოვლი?

აქ „რესპუბლიკელებს" შეუძლიათ, „ქართული ოცნების" „პროტესტანტ" წევრებს იქით შეუბრუნონ საკითხი და დაუსვან შეკითხვა: კი, მაგრამ, როდესაც ლაპარაკობთ, რომ არ უნდა იყოს გამოყენებული ადმინისტრაციული რესურსი, მაშინ რატომღა შეაქვთ კანონმდებლობაში ცვლილებები, რომლის თანახმადაც, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იქნება საარჩევნო სიაშიც და ამავე დროს შეინარჩუნებს პთანამდებობასაც? როგორ გგონიათ, პრემიერი, ნებით თუ უნებლიეთ, არ გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს? ამაზე „ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შევა სხვა ცვლილებებიც, რომელიც შეზღუდავს პრემიერისა თუ მინისტრების მოქმედებას და არ მისცემს საშუალებას, გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი. თუმცა ჯერ კონკრეტულად არავინ იცის, რა სახის ცვლილებები იქნება და რა სახის შეზღუდვები დაწესდება, როგორც ომარ ნიშნიანიძე ამბობს, ამაზე ჯერჯერობით ფიქრობენ:

„თუ „რესპუბლიკელების" საარჩევნო სიაში იქნებიან მოქმედი მინისტრები, გამგებლები, მათ სასწრაფო წესით უნდა დატოვონ თანამდებობები. ამჟამად არის ასეთი სიტუაცია: რაკი „ფორუმმაც" ასე უაპელაციოდ დატოვა კოალიცია, რომ არ შეიქმნას დესტაბილიზაციის საფრთხე, გარკვეული დროით „რესპუბლიკელებთან" ერთად ვრჩებით უმრავლესობის რეჟიმში, ერთმანეთს არ წავეჩხუბებით, ერთმანეთს არ დავჭამთ და ასე შემდეგ. როგორც კი საარჩევნო კამპანიის წამმზომი ჩაირთვება, მაშინ დაისმება საკითხი, რომ „რესპუბლიკელებმა" უნდა დატოვონ თანამდებობები. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ჩვენ კანონმდებლობაში უნდა ჩავდოთ მექანიზმი, რაც გამორიცხავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ზოგადად.".

ეს „პროტესტანტები" უკვე აღარ მალავენ, რომ „რესპუბლიკელებს" ძალიან დიდი მადა აღმოაჩნდათ და ამიტომაც გადაწყდა კოალიციის დაშლა. რადგან თურმე ისინი ვაჭრობდნენ ყველაფერზე, მაგრამ ვისთან? თუ „ქართულ ოცნებასთან", მაშინ რატომ იყვნენ დადუმებული მთელი 4 წელი? არჩევნების წინ მიხვდნენ, რომ დიდი მადა ჰქონდათ? თუ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილთან? მაშინ გამოდის, მათი შეფი „ქართული ოცნების" ზურგსუკან ელაპარაკებოდა და არც იმას ეუბნებოდა კოალიციაში ისეთი რა ხდება, რაც მათ არ იციან?

**ეს „პროტესტანტები" უკვე აღარ მალავენ, რომ „რესპუბლიკელებს" ძალიან დიდი მადა აღმოაჩნდათ და ამიტომაც გადაწყდა კოალიციის დაშლა. რადგან თურმე ისინი ვაჭრობდნენ ყველაფერზე, მაგრამ ვისთან? თუ „ქართულ ოცნებასთან", მაშინ რატომ იყვნენ დადუმებული მთელი 4 წელი? არჩევნების წინ მიხვდნენ, რომ დიდი მადა ჰქონდათ? თუ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილთან? მაშინ გამოდის, მათი შეფი „ქართული ოცნების" ზურგსუკან ელაპარაკებოდა და არც იმას ეუბნებოდა კოალიციაში ისეთი რა ხდება, რაც მათ არ იციან?**

ომარ ნიშნიანიძის თქმით, ისინი არ ვაჭრობდნენ ფრაქციის დონეზე: „რასაკვირველია, მე არ უარვყოფ, რომ ვაჭრობდნენ, მაგრამ არა „ოცნებასთან". კი, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, „რესპუბლიკელები" გამოცდილი და განათლებული ხალხიაო და ჩვენ ვთანამშრომლობდით კიდეც გარკვეულ საკითხებში. თუმცა გვქონდა შეუთანხმებლობაც, ბატონი ბიძინა ლაპარაკობდა დიპლომატიურად და მოგვიწოდებდა, გვეკეთებინა საქმე ერთად, მაგრამ მოთხოვნებმა მაინც ყველაფერი გადაფარა. მე არ ვიცი, კონკრეტულად ვისთან მიდიოდა ვაჭრობა, შეიძლება უმრავლესობის ლიდერთან, შეიძლება პრემიერ-მინისტრთან, შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან. თუ ჩვენთან დაიწყებდნენ ვაჭრობას და ეს იქნებოდა ზედმეტი, ანუ გადაჭარბებული, ისეთივე პასუხს გავცემდით: გადით ცალკე და მიიღეთ ის, რასაც მოგცემთ ხალხი".

კი, ბატონო, გასაგებია, რომ „რესპუბლიკელებს" არ უნდათ ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის კონსტიტუციაში ჩაწერა და ამით ხალხს აღიზიანებენ, თავს თვლიან პროდასავლურ ძალად და აქვთ განსაკუთრებული მადა, მაგრამ „ქართული ოცნება" რით განსხვავდება მათგან? კი, მათი უმეტესობა თვლის, რომ მხარს არ უჭერს ერთსქესიანთა ქორწინებას, მაგრამ რა ხეირი ხალხს ან ერთი ძალისგან, ან მეორე ძალისგან? თუ უნდათ, დაუჭამიათ ერთმანეთი, მაგრამ ხალხს ამითიც არაფერი ხეირი არ ექნება. პოლიტიკაში ფულია მთავარი და ივანიშვილი ახლა სხვა მუქთამჭამელებს დაასვამს ქვეყანას თავზე. ეს 2012 წელსაც კარგად გამოჩნდა და ალბათ, 2016 წელსაც ასე იქნება...

## ეს არის პოლიტიკური თამაში — მარაზმი, რასაც „ქართული ოცნება" აკეთებს — გიორგი ვაშაძე



გედევან ფოფხაძის ინიციატივას 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გიორგი ვაშაძე ეხმაურება და ინიციატივას მარაზმს უწოდებს:

– ეს არის პოლიტიკური თამაში, მარაზმი, რასაც „ქართული ოცნება" აკეთებს, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკურ პრობლემებზე ისაუბროს და ახალი ინიციატივებით გამოვიდეს. იმას, რაც დღეს კანონით განმტკიცებულია და საქართველოს კანონი ისედაც ცნობს ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, პოპულისტური, ბინძური, მორუსულო ტექნოლოგიით სურთ, რომ ხალხს შეუქმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც პრობლემაა ამ კუთხით. მე მსურს, საზოგადოებას ვუთხრა, რომ დღევანდელი სამოქალაქო კოდექსი უშვებს მხოლოდ და მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, არავინ არ გეგმავს ამ მუხლის შეცვლას, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ. (ნიუპოსტი)

## „29 მილიონად რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა — უკვე აღარაფრით განსხვავდებით მიშასგან!"



დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძე კულტურის მინისტრს აკრიტიკებს და სოციალურ ქსელში წერს:

– ხელისუფლებას 27 მაისს თბილისში მომღერალი რობი უილიამსი და ეროს რამაზოტი ჩამოჰყავს და ბიუჯეტს 29 მილიონი ლარი დაუჯდებაო, მოგვახარა კულტურის მინისტრმა!

უკვე აღარაფრით განსხვავდებით მიშასგან!!!

განა ჩვენს ქვეყანას ისე აქვს საქმე აწყობილი, რომ 29 მილიონი კონცერტში გადაყაროს???

მავნებლებო!!!

29 მილიონად რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა ამ გალატაკებულ ქვეყანაში? თქვენც ტაშფანდურზე გადახვედით? – წერს ტომარაძე. (tb24.ge)

## ბაქო მთიან ყარაბაღში ფრონტის ხაზიდან ჯარების გაყვანის ინიციატივით გამოდის



ოფიციალური ბაქო მთიან ყარაბაღში ფრონტის ხაზიდან ჯარების გაყვანის ინიციატივით გამოდის. განცხადება ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუს კოლეგასთან გამართული შეხვედრის დროს გააკეთა.

ელმარ მამედიაროვის თქმით, სამხედროები უმოკლეს ვადაში უნდა დაბრუნდნენ ყაზარმებში, რადგან კრიზისიდან გამოსვლის გაჭიანურება ყოველდღიურად ახალ მსხვერპლს იწვევს.

აზერბაიჯანი და არაღიარებული მთიანი ყარაბაღი ერთმანეთს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში ამ დრომდე ადანაშაულებენ.

რეგიონში შექმნილი ვითარების გამო, რუსეთის პრემიერი დიმიტრი მედვედევი სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებთან მოლაპარაკებებს გამართავს. (ghn.ge)

## „არ უნდა დავუშვათ, რომ გიორგი კვირიკაშვილს გადადგომის ვალდებულება ჰქონდეს“



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილის პოსტიდან გადადგომის ვალდებულება არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს გამოიწვევს მთავრობის გადადგომასაც წინასაარჩევნოდ. მისი თქმით, ეს პროცესები ქვეყნის სტაბილურობას შეარყევს.

– ჩვენი სურვილია, კვირიკაშვილი, როგორც ჩვენი ლიდერი, სიის პირველი ნომერი იყოს, მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ მას პოსტიდან გადადგომის ვალდებულება ჰქონდეს, რადგან ეს მთავრობის გადადგომას, მოკლე ვადაში ახალი შემადგენლობის დამტკიცებას და თვენახევრიანი მთავრობის დაკომპლექტების პროცესს მოიტანს. ამით კი, დიდი გამოწვევების წინაშე მდგარი ქვეყანა დაზარალდება. რყევებს უნდა მოვერიდოთ და სტაბილურობა შევინარჩუნოთ. შიში, რომ შესაძლოა, პრემიერმა ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს, უსაფუძვლოა, - განაცხადა გია ვოლსკიმ.

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები უნდა განიხილოს, რომლის თანახმადაც, დეპუტატობის კანდიდატ პრემიერმინისტრს წინასაარჩევნოდ თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება არ ექნება. (ghn.ge)

# საავტომობილო საცობების დასამარცხებლად, თბილისის ცენტრში ბენზინგასამართ სადგურების ნაწილი დაიხურება



საცობების განტვირთვის მიზნით თბილისის ცენტრიდან, შესაძლოა, რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური გადაიტანონ. როგორც დედაქალაქის მერიაში აცხადებენ, კომპანიებთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და ბენზინგასამართი სადგურების ადგილზე კუნძულებისა და შუქნიშნების მოწყობა იგეგმება.

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძის განმარტებით, კვანძების მოწყობა ეხება სააკაძის მოედანს, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიას, 26 მაისის მოედანს და ასევე, რამდენიმე წერტილს თბილისში, ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 70-დან 90 ათას ერთეულამდე იზრდებოდა. 2012 წლის შემდეგ თბილისში ახალი შემოვლითი გზები, ხიდები, ესტაკადები არ აშენებულა და შედეგმაც არ დააყოვნა - ქუჩები გადაიტვირთა. დღეს უკვე 1 მილიონ 200 ათასამდე ავტომობილია რეგისტრირებული საქართველოში, საგზაო ინფრასტრუქტურა კი იგივე დარჩა; ანუ დაირღვა ბალანსი ავტომობილების რაოდენობასა და საგზაო ინფრასტრუქტურას შორის.

– მუნიციპალური ტრანსგასამართი სადგური გზის სავალ ნაწილზე სწორედ თბილისის მერის ნებართვით გახსნეს. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ პირდაპირ ერთ ზოლზე იქმნება საცობი. შესაბამისად, დღეს თბილისის მერიის მიერ საუბარი იმაზე, რომ მოძრაობა განიტვირთება ბენზინსაგასამართების გადატანით, აბსურდია და ეს არ შეამსუბუქებს ვითარებას. თორემ ბენზინგასამართი ფეთქებადსაშიში სადგურები რომ არ უნდა იყოს ქალაქის ცენტრში, ამას რად უნდა ბევრი ლაპარაკი?! — ამბობს ვასილ ურუშაძე.

რაც შეეხება ბენზინგასამარტაკადებით, პანდუსებითა და გვირაბით, როგორც ეს გმირთა მოედანზე განხორციელდა. ამ მიდგომით შეიძლება განიტვირთოს მოძრაობა სააკაძის, 26 მაისის მოედნებზე, უნივერსიტეტისა და თამარაშვილის ქუჩის კვეთაზე.

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე აცხადებს, რომ ბენზინგასამართი სადგურების გადატანამ შეიძლება დადებითი ეფექტი გამოიღოს, ოღონდ ეს პრობლემას არავითარ შემთხვევაში არ გადაწყვეტს. უბრალოდ, ეს პატარა შემსუბუქების წერტილები იქნება ისევე, როგორც დიდი დილომში. პარალელურად, საცობების პრობლემის მოგვარების მიზნით მერია მიწის ზედა და ქვედა პარკინგების მოწყობასაც გეგმავს.

„ეკოტრანსპორტის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი ვასილ ურუშაძე აცხადებს, რომ საცობების პრობლემა თბილისში 2014 წლის შემოდგომიდან დაიწყო და აქედან მოყოლებული, ადამიანთა უსაფრთოებისა და ჯანმრთელობის მხრივ პრობლემებმა იმატა, რადგან გართულდა სასწრაფო სამედიცინო და სამაშველო სამსახურების გადაადგილება.

რატომ იმატა მაინცდამაინც 2014 წლიდან დედაქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობამ, ვასილ ურუშაძე ამას იმით ხსნის, რომ ჯერ კიდევ 2005 წლიდან ქვეყანაში, მათ შორის, პორტის არასაკმარისი რაოდენობა და მისი გაუმართაობა მოსახლეობას აიძულებს, გადაადგილდეს პირადი ავტომობილით, რაც ზრდის ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობას. ამას ემატება პარკინგის პრობლემაც, დღეს თბილისში პარკირების ერთ ოფიციალურ ადგილზე მოდის 12 ავტომობილი. შესაბამისად, 11 მძღოლი ეძებს ალტერნატიულ ადგილს და ეს ადგილებია ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარი, სადარბაზოს შესასვლელი, გზის სავალი ნაწილი. რატომღაც ახლა საუბრობს თბილისის მერია ბენზინგასამართი სადგურების გადატანაზე. ამ დროს კი ზუსტად 2015 წელს „ლაგუნა ვერეს" ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთი ბენზინთი სადგურების შუქნიშნებით ჩანაცვლებას, „ეკოტრანსპორტის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ თბილისის მერიამ ამ რამდენიმე თვის წინ დაიქირავა „გერმანული" კომპანია, რომელიც მხოლოდ რუსულ ბაზარზე ოპერირებდა, მას რეკომენდაციებში გადაუხადა 40 ათასი ევრო და სწორედ მათ ურჩიეს სააკაძის მოედანზე შუქნიშნების დამონტაჟება. არადა, ვინც საგზაო მოძრაობაში ოდნავ მაინც ერკვევა, ყველამ იცის, დამატებით შუქნიშანი და მოძრაობის შემაფერხებელი სხვა ფაქტორი საცობების წარმოქმნის პოტენციური მიზეზია. შესაბამისად, სააკაძის მოედნის განტვირთვის ერთადერთ საშუალებად რჩება ორდონიანი მოძრაობის მოწყობა, რაც შესაძლებელია ესსიმძლავრის ობიექტების ქალაქიდან გადატანა.

ზურაბ ბაქრაძის აზრით, დედაქალაქის განტვირთვა კომპლექსური სატრანსპორტო დაგეგმით შეიძლება და ამ დაგეგვმის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის შემცირება.

– ესტაკადებით ქალაქის დახუნძვლა ძველი, 60-იანი წლების მიდგომაა. რატომღაც ამ მიდგომით შენდება ჩვენი დედაქალაქი დღესაც, რაც ინდივიდუალურ ტრანსპორტს კიდევ უფრო ამრავლებს. უნდა გაიზარდოს და უკეთესი გახდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რათა ადამიანებმა დაინახონ, რომ ავტობუსით, ტრამვაით უფრო კომფორტულად მგზავრობენ, ვიდრე მანქანით, - აღნიშნავს ზურაბ ბაქრაძემ. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოში ფარული მიყურადების შესახებ ანგარიში გამოქვეყნდა

**IDFI** ანგარიშს - „ფარული მიყურადება საქართველოში: 2015-2016“, აქვეყნებს. დოკუმენტში განხილულია 2015 წლის ივნისიდან 2016 წლის მარტამდე საქართველოში ფარული მიყურადების რეგულირებასთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენები, ესენია: ბოლო დროს გავრცელებული ჩანაწერები, კამპანია „ეს შენ გეხება“ აღდგენა 2016 წლის მარტში, ორგასაღებიანი სისტემის პირველი შედეგები და ამ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის როლი, ასევე, ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.

ანგარიშის მიხედვით, მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ათასობით უკანონო ჩანაწერი გამოვლინდა, ფარული მიყურადების საკითხის დარეგულირება პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

– ამ პროცესში მთავარი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სამართალდამცავი ორგანოების სატელეკომუნიკაციო მონაცემებთან პირდაპირი წვდომის შეზღუდვის საკითხმა. ერთი მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოფილი პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი და პარლამენტის წევრთა ნაწილი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ამგვარი წვდომის შეზღუდვას. მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი, კამპანია „ეს შენ გეხებას“ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები და პარლამენტის წევრთა ნაწილი ითხოვდა პირდაპირი წვდომის შეზღუდვას. მრავალი დისკუსიის, საბოლოო ვადების გადაწევის, ოთხი სხვადასხვა კანონპროექტისა და ორი საპრეზიდენტო ვეტოს შემდეგ პარლამენტმა მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი მიიღო. ახალი კანონის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეინარჩუნა პირდაპირი წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების სერვერებზე, თუმცა მიყურადების განსახორციელებლად იგი ვალდებული გახდა სასამართლო ნებართვის მიღების შემდეგ ასევე მოეპოვებინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა. კამპანია „ეს შენ გეხებამ“ მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტის მიღების შემდეგაც განაგრძო პირდაპირი წვდომის შეზღუდვის ადვოკატირება და ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. 2015 წლის 31 მარტიდან ამოქმედდა ეგრეთ წოდებული „ორგასაღებიანი“ სისტემა, რომლის მიხედვითაც, პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს დაეკისრა ვალდებულება შეამოწმოს სასამართლოს მიერ მიყურადებაზე გაცემული ნებართვის კანონიერი აღსრულება. 2016 წლის 14 მარტს, პირადი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ფარული ჩანაწერის გავრცელებისა და საზოგადოებრივი პროტესტის შემდეგ, კვლავ გახდა საჭირო კამპანია „ეს შენ გეხებას“ აღდგენა. ასევე განახლდა დისკუსია პარლამენტს, სამართალდამცავ ორგანოებსა და პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორს შორის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის შემთხვევაში სასჯელის გამკაცრების შესახებ, - ნათქვამია ანგარიშში. (ინტერპრესნიუსი)

## ქუმსიშვილი: ვრჩები მმართველობით ნაწილში



დიმიტრი ქუმსიშვილი საარჩევნო სიაში დიდი ალბათობით არ იქნება. ამის შესახებ თავად ეკონომიკის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა. ქუმსიშვილის თქმით, ის რჩება აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

– საარჩევნო სიაში ძალიან დიდი ალბათობით არ ვიქნები, იმიტომ, რომ ვრჩები მმართველობით ნაწილში. რაც ეხება თარიღებს, თარიღები გამოცხადებულია, პრეზიდენტმა გადმოაგზავნა, - განაცხადა ქუმსიშვილმა. (news.ge)

## ვალიშვილი „გაზპრომზე“: ჩვენთვის მისაღები შედეგის შემოთავაზება თუ არ მოხდებოდა, ბუნებრივია, დათანხმებას არავინ აპირებდა

– „გაზპრომის“ შემოთავაზებას არ დავთანხმდებოდით, თუ ჩვენთვის მისაღები პირობები არ იქნებოდა, - ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ისაუბრა. მარიამ ვალიშვილის განცხადებით, „გაზპრომის“ თემა, მისი იმიჯიდან გამომდინარე, ყოველთვის ხმაურიანი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც.

– ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული არის „გაზპრომ-ექსპორტსა“ და გაზის ტრანსპორტირების კომპანიას შორის, პირობა არის უცვლელი — 10 პროცენტი გატარებული მოცულობისთვის და ბუნებრივია, ხელშეკრულების ვადაც არის ერთწლიანი, განსაზღვრული მხოლოდ წლის ბოლომდე.

ხმაურიანი თემა „გაზპრომთან“ მიმართებაში მარტო საქართველოსთან მიმართებაში არ შეიძლება, ევროპაშიც, „გაზპრომის“ იმიჯიდან გამომდინარე ყოველთვის ხმაურიანი თემა არის. ვის როგორ უნდოდა ამ თემის წარმოჩენა, მე არ ვიცი, მაგრამ ძალიან პრაგმატული მიდგომა იყო მთელი ამ თვეების განმავლობაში ჩვენი მხრიდან. არის შედეგი, რომელიც იყო თეორიაში ჩვენთვის მისაღები, ამ შედეგის შემოთავაზება თუ არ მოხდებოდა, ბუნებრივია, დათანხმებას არავინ არ აპირებდა, - განაცხდა ვალიშვილმა.

შეგახსენებთ, „გაზპრომმა“ ქართული მხარის მიერ შეთავაზებულ კონტრაქტს ხელი მოაწერა. ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, ძალაში რჩება კონტრაქტის ძველი პირობები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ბუნებრივი აირის სომხეთში ტრანზიტის სანაცვლოდ, გატარებული გაზის 10 პროცენტი დარჩება. (news.ge)

## სომხეთის არმიამ სასწრაფო დახმარების მანქანა დაცხრილა




აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამედიცინო დახმარების მანქანა, რომელსაც დაჭრილი მშვიდობიანი მოსახლეობა გადაჰყავდა, სომხეთის არმიის მიერ გახსნილ ცეცხლში მოყვა.

უწყების ინფორმაციით, სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

– სომხეთის ქმედება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა, – აღნიშნულია აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (pia.ge)

## „ჩვენი ტელევიზიები სულ ნეგატიურს გადმოსცემენ და ეს ქმნის სიმძიმეს, სტრესებს“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოველში ქადაგების დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ამბიონზე მიიწვია და ნაკურთხი წყალი ასხურა.

– აი, გეძლევათ თქვენ ლოცვა-კურთხევა, რომ ადამიანებს უთხრათ სასიხარულო ამბავი, არა სამწუხარო და არა ნეგატიური, როგორც ჩვენი ტელევიზიები სულ ნეგატიურს გადმოსცემენ და ეს ქმნის სიმძიმეს, სტრესებს, თითქმის არ გადის დღე, რომ არ მოვიდნენ ჩვენთან და არ თქვან, რომ ამა თუ იმ ადამიანმა თავი მოიკლა. სიხარული უნდა ვახაროთ ადამიანებს, ჩავიხედოთ ადამიანის გულში, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, დღეს მთელ მსოფლიოში არის დაძაბული ურთიერთობა და კაცობრიობა ეძებს მიზეზს ამ დაძაბულობისა. უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა ადამიანმა თავის გულში უნდა ჩაიხედოს.

პატრიარქმა დალოცა რუსები, აფხაზები, ოსები და ტაძარში მყოფი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

– თქვენ ისეთივე ჩვენი სულიერი შვილები ხართ, როგორც ქართველები, ამიტომ, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში. (pia.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# ფარული ვიდეოებით რიგითი მოქალაქეების დაჟანტაჟებაც დაიწყეს?

## რას ურჩევენ ასეთ ადამიანებს და რას აცხადებენ შსს-ში?



**ვინ და როგორ აშანტაჟებს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალების გამოქვეყნებით რიგით მოქალაქეებს? რატომ არ იძიებენ სამართალდამცავი უწყებები ამ საქმეებს? რას ურჩევს შს სამინისტრო პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრებით დაშანტაჟებულ მოქალაქეებს?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– მას შემდეგ, რაც მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის მოადგილემ გააკეთა განცხადება, რომ თურმე შს სამინისტრო და არ ყოფილან თანამდებობის პირები. ჩანაწერები ჩაიგდეს ხელში სხვადასხვა ხერხით და სძალავენ ფულს ადამიანებს. ცნობილი ამბავია, რომ ასეთი ვიდეოკადრების ასლები დღემდე ინახება. თუ ეს ვილაცისთვის პოლიტიკური ვაჭრობის თემა იყო და ამიტომ გაავრცელეს, არიან ისეთებიც, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები და არავის გასარჩევი არ უნდა გახდეს, ის მეუღლეს ღალატობს თუ რა ხდება მის ცხოვრებაში.

**— და რატომ არ მიდიან პოლიციაში, პროკურატურაში... თქვენ რატომ გაკითხავენ?**

– ჩვენთან მოდიან, იმიტომ, რომ გვეკითხებიან როგორ მოიქცნენ, არ იციან, რა მოიმოქმედონ, რა გააკეთონ... ჩვენც ანები, რომლებიც თავის დროზე ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულები და ახლა მათ გვერდით მუშაობენ? როცა ასეთი ფაქტები ხდება, გამოდიან და მერე ამბობენ, რომ თურმე მათ არ ხელეწიფებათ ასეთი შემთხვევების გამოძიება. ან როგორ უნდა გააკეთონ, აგენტურაც კი არ უვარგათ, რომ ინფორმაციები შეაგროვონ, დამნაშავეები გამოავლინონ და დასაჯონ...

**— თუ ვერც თქვენ ეხმარებით და არც სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობენ, მაშინ რა დარჩათ, ფულის გადახდა?**

– ასეთ ადამიანებს საგამოძიებო სამსახური რაღაც იმედს მაინც უნდა უტოვებდეს, რომ ამ ეტაპზე თუ ვერა, შემდეგში მაინც მოჰყვება ამას სამართლებრივი რეაგირება ჟანტაჟისტის გამოვლენა.

**— ვთქვათ, არ მიმართავენ, იმიტომ რომ არ ენდობიან... იმ შემთხვევაში, თუკი შანტაჟის მსხვერპლმა, თავად ჩაწერა შანტაჟისტი, ექნება ასეთ ჩანაწერს იურიდიული ძალა?**

– აუცილებლად ექნება, იმიტომ, რომ უშუალოდ მათ პირად ცხოვრებას, მათ პატივს და ღირსებას ეხება საქმე, ასეთ შემთხვევაში არ სჭირდება სასამართლოს ნებართვა. თუნდაც, ტელეფონზე რომ ურეკავენ, ეს ჩაწერონ და თუკი ვინმე შემოედავება — ამის უფლება არ გქონდაო, მარტივად იტყვიან — ჩემი ტელეფონი ავტომატურად იწერდაო. მაგრამ, თუკი სამართალდამცავ უწყებას არ ენდობიან და მათ არ დაუდებენ ამ ზოგადად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოკლებულია იმ კომფორტს, რომ მიაკვლიონ „იუთუბიზე“ გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გამავრცელებლების ვინაობას, ეს ერთგვარად, იმ კრიმინალების წახალისება აღმოჩნდა, რომლებმაც დღეს თავი წამოყვეს.

**— ვის გულისხმობთ? დაანონსებული მუქარის შემდეგ ერთი ვიდეოც არ გავრცელებულა, დაიბლოკა...**

– ჩვენს ორგანიზაციას უკვე ათამდე ადამიანმა მომართა, რომლებიც ყვებიან დაახლოებით ერთნაირ ისტორიას. მათი მონათხრობის მიხედვით, დაახლოებით 4-5 წლის წინათ ეს ადამიანები იმყოფებოდნენ სხვადასხვა სასტუმროებში მანდილოსნებთან ერთად, რაც გადაღებულია ვიდეოფირებზე და დღეს ეს მასალები გამოყენებულია შანტაჟისთვის, ინტერნეტში კი არ აქვეყნებენ, პირადად აშანტაჟებენ. როგორც წესი, ასეთ დაწესებულებებში ფიქსირდება ადამიანების ვინაობა – თავის საკონტაქტო მონაცემებთან ერთად. ხელთ აქვთ გადაღებული ფირები, უკავშირდებიან ამ ადამიანებს და ეუბნებიან, თუ არ გადაუხდიან კონკრეტულ თანხას, ემუქრებიან ამ ფირების გასაჯაროებით, ოჯახის წევრებისთვის გადაცემით... ეს ადამიანები, რომლებიც ეწევიან შანტაჟს, ვერაფერს ვაკეთებთ, ვერ ვეხმარებით, მაგრამ ფაქტია, რომ ადგილი აქვს სერიოზულ ფსიქოლოგიურ ძალადობას.

**— რატომ მოგმართავენ ეს ადამიანები თქვენ და არა სამართალდამცავ უწყებებს, რომლებსაც ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე თქვენს ორგანიზაციას?**

– ჩვენი ორგანიზაცია არასამთავრობოა და ამიტომაც მეტად გვენდობიან. აკვიატებული აქვთ გამოთქმა, რომ „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“, არ არიან დარწმუნებული, რომ ვინც მათ აშანტაჟებს, დასჯიან და ჩანაწერები მათი ოჯახის წევრებთან არ მოხვდება. უამრავი საქმეებია გადაცემული საგამოძიებო ორგანოებში მაგრამ არ იძიებენ, ეს ციან და შესაბამისად, მათთან კონტაქტზე არ მიდიან. როდესაც მთავარი პროკურორის მოადგილე გამოდის და ამბობს, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთო, მითხარით, რის იმედი უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ მოკვდავს? ამიტომაც არ მიდიან.

**— „ჰაკიმ ფაშადან“ დაწყებული, ვიდეოჩანაწერების ერთი საქმეც არ გამოძიებულა, საზოგადოებას კითხვები რომ არ ჰქონდეს დარჩენილი. რა ხდება, რატომ არ მიჰყავთ ასეთი საქმეები ბოლომდე?**

– არ შედის ეს მათ ინტერესში, ვინ უნდა დასაჯონ – ადამიბა. ჩვენგან გადაგზავნილი ათეულობით მასალა დევს დღემდე პროკურატურაში, შს სამინისტროში, მაგრამ ნაბიჯი არ იდგმება, რომ რაიმე გაკეთდეს. მინდა მივმართო მათ კიდევ ერთხელ – როდესაც ჩვენ რაიმე განცხადებით მივმართავთ ხოლმე, ეს არასდროს არ არის საფუძველსმოკლებული, ნუ გაატარებენ ამ ყველაფერს ასე, დაინტერესდნენ და მოიკვლიონ ჩვენ მიერ თითქმის გაკეთებული საქმე.

**რა გზა რჩება ადამიანს, როდესაც მსგავს სიტუაციაშია და არც სამართალდამცავ ორგანოებს ენდობა?**

**ამ კითხვით „ალიამ“ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს მიმართა:**

– თუ სამართალდამცავ ორგანოებს, კერძოდ კი, პროკურატურას არ მიმართავენ, თავად, დამოუკიდებლად, ვერაფერს მოუხერხებენ ამ საკითხს და მუდმივად იქნებიან შანტაჟის ქვეშ. აუცილებლად უნდა მიმართონ, რას ჰქვია — არ ენდობიან? უცხო ქვეყნიდან რომ ტვირთავენ, იმას ვერ იძიებენ აქ, თორემ, როცა ადამიანი ურეკავს, ელაპარაკება, ფულს სძალავს და ა.შ. ამის გამოძიება არაა რთული. პირიქით, უნდა მივიდნენ, ითანამშრომლონ სამართალდამცავ უწყებებთან, აღიჭურვონ ჩამწერი მოწყობილობით და ძალიან მარტივად მოხდება ფაქტს, მაშინ რაში გამოიყენებენ ამ მასალას? ამიტომ, ამას არ სჯობია, პირდაპირ პროკურაუტრასთან ითანამშრომლონ?

**— მსხვერპლი თუ ფიზიკურად გაუსწორდება შანტაჟისტს, ასეთ დროს, შანტაჟის მსხვერპლს ეს შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგალითად, აფექტში ყოფნაში არ ჩაეთვლება?**

– არა, ეს ფიზიკური ანგარიშსწორება იქნება და აუცილებლად დანაშაულში ჩაეთვლება. ამიტომ უნდა მიმართოს სამართალდამცავ უწყებას. თან, თუკი იცის, ვინ აშანტაჟებს და აპირებს, ფიზიკურადაც კი გაუსწრდეს, მაშინ რაღა პრობლემაა, ხომ პირდაპირ მიადგებიან დამნაშავეს? თუკი სცემა, აუცილებლად ჰკითხავენ, რატომ არ მიმართა სამართალდამცავებს. რომც დაუმტკიცოს, რომ ჟანტაჟს ჰქონდა ადგილი, მაინც დანაშაულში ჩაეთვლება.

**„ალია“ შს სამინისტროსაც დაუკავშირდა, გავაინტერესებდა, რას ურჩევდა მათი უწყება იმ ადამიანებს, რომლებსაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით აშანტაჟებენ. მათი პასუხიც იგივე იყო, „ასეთ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალი ისევ და ისევ სამართალდამცავ უწყებასთან თანამშრომლობაა, ამ შემთხვევაში კი, უშუალოდ პროკურატურასთან. მსგავსი საკითხებით მთავარი პროკურატურა აუცილებლად დაინტერესდება, რა თქმა უნდა, მიმართვის შემთხვევაში“.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მძლეთამძლე“ რომაა ქართული მულტფილმი, გახსოვთ? აი, ამაზეა გადაღებული!..



საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი ნუგზარ წიკლაური მიიჩნევს, რომ „გაზპრომის“ მიერ კონტრაქტის ძველ ვარიანტზე ხელის მოწერა ქართველი საზოგადოების აქტიურობის დამსახურებაა.

– რუსეთის მხრიდან იყო სრულიად აშკარად გამოხატული შანტაჟი, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება მთლიანად დაეთანხმა რუსეთის პოზიციას და პირიქით, ქართველ ხალხს უმტკიცებდა, რომ სხვა ალტერნატიული საშუალება, გარდა „გაზპრომზე“ მიბმისა, ჩვენ, უბრალოდ, არ გვაქვს, აღმოჩნდა, რომ ასეთი შესაძლებლობები არსებობს. დღეს მიმაჩნია, რომ ეს უკან დახევა რუსეთის პირდაპირ არის დაკავშირებული ქართველი საზოგადოების ერთიანობასთან, – აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

შეგახსენებთ, „გაზპრომმა“ ქართული მხარის მიერ შეთავაზებულ კონტრაქტს ხელი მოაწერა. ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, ძალაში რჩება კონტრაქტის ძველი პირობები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ბუნებრივი აირის სომხეთში ტრანზიტის სანაცვლოდ, გატარებული გაზის 10 პროცენტი დარჩება. (news.ge)

## შსს-მ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი პირი დააკავა



შსს-ს თანამშრომლებმა 2015 წლიდან განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, 1986 წელს დაბადებული რამინ ი. დარიალის ხეობაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2015 წლის 28 დეკემბერს ფონიჭალაში, რელიგიურ თემაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით დაჭრა თანასოფლელი, 1993 წელს დაბადებული ფიკრატ ა. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი 2015 წლის 30 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (pia.ge)

## მაყურებელი „მოხუც ჯამბაზებს“ ვერ ნახულობს — „თანამშრომლები იძენენ ბილეთებს და შემდეგ ძვირად ყიდიან“

ჟურნალისტი ლიკა კასრაძე იმ ადამიანებს შორისაა, რომლებიც სპექტაკლ „მოხუცი ჯამბაზების“ ნახვას ბილეთებზე არასათანადო წვდომის გამო ვერ ახერხებენ.

ჟურნალისტი აღნიშნული პრობლემის შესახებ სოციალურ ქსელში წერს და ბილეთების გადამყიდველების გამო შექმნილი პრობლემის მოგვარებას რუსთაველის თეატრს სთხოვს.

კასრაძე ბილეთების შესაძენად საზოგადოებისთვის თანაბარი შანსის შესაძლებლობას ითხოვს და აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემის გადაჭრა შესაძლოა, ცოცხალმა რიგმა მოახერხოს.

– დიდი ხანია, ჩასაფრებული ვარ „მოხუცი ჯამბაზების“ ბილეთებს და როგორც კი ანონსი იდება, მაშინვე ვამოწმებ **biletebi.ge**-ს. ასევე, იქცევა ჩემი არაერთი მეგობარი, მაგრამ იქ აღარაფერი გვხვდება. დღეს გავიგე, რომ თვითონ თანამშრომლები ყიდულობენ ყველა ბილეთს, როგორც კი სპექტაკლი იდგმება და შემდეგ ძვირად ყიდიან.

გთხოვთ, როგორმე გაგვარკვიოთ, რა ხდება და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა. იქნებ ჯობია, ონლაინ აღარ გამოიტანოთ და ძველი მეთოდით მხოლოდ სალაროში გაყიდოთ ბილეთები, სადაც ცოცხალი რიგი იქნება და ყველას თანაბარი შანსი ექნება შეძენის, ან იქნებ დამატებითი სპექტაკლები დანიშნოთ, ან იმ გადამყიდველებს როგორ მივაკვლიოთ, ჯანდაბას, გადავიხდი ზედმეტს, ოღონდ ერთხელ მაინც მოვხვდე ამ სპექტაკლზე, ან გაგვარკვიოთ, სხვა რა გზებით შეიძლება რომ დავესწროთ წარმოდგენას“, – წერს ლიკა კასრაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (daijesti.pia.ge)

## რუსეთის, აზერბაიჯანისა და ირანის პრეზიდენტები ერთმანეთს ბაქოში შეხვდებიან



რუსეთის, აზერბაიჯანისა და ირანის პრეზიდენტები ერთმანეთს ბაქოში შეხვდებიან. როგორც აზერბაიჯანული მედია წერს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის, მოჰამად ჯავად ზარიფის განცხადებით, ვლადიმერ პუტინის, ილჰამ ალიევისა და ჰასან როუჰანის შეხვედრისთვის მზადება უკვე დაწყებულია.

პრეზიდენტების შეხვედრის მთავარ თემაზე მინისტრს დამატებითი კომენტარი არ გაუკეთებია. (ნიუპოსტი)

## მიკროავტობუსის დაჯახების შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა

გორში მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. მიკროავტობუსი, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი მართავდა, ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა. ავარიის შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის ნასვამ მდგომარეობაში დარღვევას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## თამარ კორძაია ქორწინების ცნების განსაზღვრებაზე: ეს არ არის ნომერ პირველი თემა

საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრი თამარ კორძაია უმრავლესობის იდეას – კონსტიტუციაში ქორწინების ცნება განისაზღვროს, არ ეთანხმება. მისი თქმით, ქვეყანაში გაცილებით მეტი პრობლემა არსებობს.

– საქართველოში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას საფრთხე არ ემუქრება. ეს არ არის ნომერ პირველი თემა, დღეს საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელზეც პარლამენტმა, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს – უფრო მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევა, დასაქმება, თუ თითოეულ მოქალაქეს ჰკითხავთ, რომელი საკითხი აწუხებს, ნომერ პირველი იქნება ის, რაც მე დავასახელე, – განაცხადა კორძაიამ. (kvira.ge)

# როგორ გვატყუებენ ფარმაცევტული კომპანიები — 5 ხრიკი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ!







თანამედროვე ფარმაცევტული სფერო არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი წარმოება, რომელიც, სხვა კომპანიების მსგავსად, მოგებაზეა ორიენტირებული.

ამიტომ ისინიც იძულებული არიან, გარკვეულ ხრიკებს მიმართონ გაყიდვების გასაზრდელად. ქვემოთ მოგიყვებით რამდენიმე ხრიკზე, რომელსაც აღნიშნული მიზნით იყენებენ ცნობილი ფარმაცევტული კომპანიები.

**1. წამლების გადაფუთვა**

პრეპარატის დასახელება ძალიან მნიშვნელოვანია გაყიდვების გაზრდისთვის. მაგალითად, ანტიდეპრესანტი „პროზაკი“ და პრეპარატი სახელწოდებით „სარაფემი“ – აქედან მეორე წარმოდგენილია, როგორც ქალებზე ორიენტირებული, მას ყუთიც კი ვარდისფერი აქვს. მიუხედავად ამისა, მათ შორის გარდა სახელწოდებებისა და ფერისა, განსხვავება თითქმის არ არის.

„პროზაკმა“ მის მწარმოებელ კომპანია „**Eli Lilly**“-ს უზარმაზარი მოგება მოუტანა, „სარაფემის“ გამოშვება კი ამავე კომპანიამ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო, სანამ „პროზაკზე“ პატენტი ამოეწურებოდა. როცა პრეპარატზე პატენტი იწურება, წამლის ფასი მკვეთრად ეცემა, კონკურენტები კი საკუთარი ანალოგიური ჯენერიკების გამოშვებას იწყებენ. მაგრამ „პროზაკის“ იდენტური, თუმცა ახალი სახელწოდების მქონე წამლის გამოშვებით „**Eli Lilly**“-მ შეძლო თავისი პატენტის გაგრძელება კიდევ რამდენიმე წლით, რამაც საშუალება მისცა, შენარჩუნებულიყო „პროზაკის“ მაღალი ფასი.

1997 წელს მსგავსი რამ გააკეთეს „**GlaxoSmithKline**“-შიც, როცა გამოუშვეს ცნობილი ანტიდეპრესანტი „ველბუტრინი“ აბების სახით, მოგვიანებით კი რებრენდინგის შემდეგ, იგივე პრეპარატი „ზიბანის“ სახელწოდებით მოგვევლინა.

შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, რაში გამოიხატება აქ ტყუილი? პრეპარატი ხომ მართლა ისე მოქმედებს, როგორც ანოტაციაშია მითითებული. სამაგიეროდ ხალხი ტყუვდება იმით, რომ თითქოს ახალ წამალს იღებს და ამისთვის გაცილებით დიდ თანხას იხდის.

**2. ატარებენ წარმოუდგენელი რაოდენობის უსარგებლო გამოკვლევებს.**

ფარმაცევტული კომპანიები ახალი პრეპარატის გაყიდვაში ჩაშვებამდე აუცილებლად უშვებენ უამრავი რაოდენობის, ხშირად ყალბი ცდების შედეგებს. შეიძლება მოვიყვანოთ ფარმაცევტული კომპანია „**Medtronic**“-ის მაგალითი, რომელმაც 210 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა რამდენიმე ქირურგს ძვლის ზრდისთვის განკუთვნილი პრეპარატ „**Infuse**“-ის რეკლამაზე ხელმოწერისთვის....მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „**Infuse**“ ხელს უწყობდა კიბოს წარმოქმნას და უნაყოფობას მამაკაცებში. მართალია, გაფრთხილება გვერდითი მოვლენების შესახებ ანოტაციაზე თავიდანვე დატანილი იყო, მაგრამ ძალიან წვრილი შრიფტით, თან მარკეტოლოგებმა ტექსტიც ისე დაამუშავეს, რომ ამ ეფექტებზე ადამიანს ყურადღება არ მიექცია და მთლიანად პრეპარატის სარგებელზე გადართულიყო.

მართალია, ზოგჯერ ფარმაცევტული ორგანიზაციები ნამდვილ ცდებსაც ატარებენ, მაგრამ უარყოფით შედეგებს, უბრალოდ, არ აქვეყნებენ. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მთელი რიგი გამოკვლევები იქნა წარდგენილი მარეგულირებელ ორგანოებში და საბოლოოდ გამოქვეყნებული იქნა მხოლოდ დადებითი შედეგები.

**3. ქმნიან სავაჭრო წარმომადგენლების არმიას.**

ექიმები ხშირად ახალი პრეპარატების შესახებ სწორედ სავაჭრო წარმომადგენლებისგან იგებენ. ეს უკანასკნელები სტუმრობენ მათ და უყვებიან ახალ „ჯადოსნურ“ პრეპარატებზე, რომლებსაც მათი კომპანია უშვებს.

კანონის თანახმად, წარმომადგენლები მოვალენი არიან პრეპარატის შესახებ ექიმებს სრული ინფორმაცია მიაწოდონ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, წამლის გვერდითი ეფექტების შესახებ საუბარს ისინი სარეკლამო საუბრის დროის მხოლოდ 6 პროცენტს უთმობენ. ეს გასაგებიცაა: მათი მიზანი ხომ არის არა ინფორმაციის მიწოდება, არამედ ექიმის ხელმოწერის მიღება.

**4. ტყუილი**

დღეს თითქმის ყველა წამლის ეტიკეტზეა მითითებული, რომ პრეპარატი რეკომენდებულია ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ: მაგალითად, ამა და ამ ფედერალური საზოგადოების, ამა და ამის ნაციონალური ცენტრისა თუ საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ.

როგორც აღმოჩნდა, ამ ორგანიზაციების უმრავლესობა თავად ფარმაკოლოგიური კომპანიების მიერ არის ფინანსირებული.

ავიღოთ, მაგალითად „აკნეს ამერიკული საზოგადოება“, რომელიც მთლიანად ფინანსდება მუწუკების საწინააღმდეგო საშუალებების მწარმოებელი კომპანიის მიერ, როგორიცაა „**Galderma**“, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ აღნიშნული საზოგადოება რეკომენდაციას უწევს „**Galderma**“-ს მიერ წარმოებულ უფრო ძვირ პროდუქციას, ვიდრე იმავე ეფექტის მქონე იაფ ჯენერიკს.

**5. მექრთამეობა**

როგორც აღმოჩნდა, ფარმაცევტული კომპანიები არც ქრთამის მიცემაზე ამბობენ უარს. მაგალითად, „**GlaxoSmithKline**“-ს სასამართლოში ჰქონდა საქმე 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ქრთამის მიცემისთვის ჩინელი ექიმებისა და სახელმწიფო მოხელეებისთვის. ამის სანაცვლოდ კომპანიას გარანტირებული უნდა ჰქონოდა ქვეყნის წამლის ბაზარზე დიდი წილი.

კომპანია „**Pfizer**“-იც, ასევე, მხილებული იქნა ბულგარეთში, ხორვატიაში, რუსეთში, ჩეხეთში, იტალიასა და სერბეთში ექიმების მოსყიდვის ფაქტზე, რათა მათ პაციენტებისთვის აღნიშნული ფარმაცევტული კომპანიის წამლები დაენიშნათ. თუმცა „**Pfizer**“-მა ბრალი აღიარა და 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმაც გადაიხადა. (galanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ოქიტაშვილი — როცა შენი ახალგაზრდები ნიჩბით დახოცეს, 9 აპრილს პეტერბურგში კონცერტის გამართვა უსინდისობაა




– ჩემთვის მიუღებელია ამ დღეს სიმღერა ქვეყანაში, რომელმაც დაარბია და დახოცა მშვიდობიანი მოქალაქეები, – ამის შესახებ დავით ოქიტაშვილმა გადაცემა „პრიორიტეტებში“ ჩართვისას განაცხადა.

კულტურის პალატის პრეზიდენტი ჯგუფ „მგზავრების“ მიერ 9 აპრილს პეტერბურგში კონცერტის გამართვას მისთვის მიუღებელ ფაქტს უწოდებს და აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც ახალგაზრდები ნიჩბით დახოცეს, 9 აპრილს პეტერბურგში კონცერტის გამართვა უსინდისობაა.

– ნებისმიერი მოქალაქისთვის 9 აპრილი არის ტრაგედია. არავინ არაა რაღაცის წინააღმდეგი, მაგრამ ამ დღეს არ უნდა გაემართათ კონცერტი. ესაა საქართველოს ყველაზე ტრაგიკული ისტორიის ფურცელი იმ ტრაგედიათა შორის, რაც საქართველომ გადაიტანა და როდესაც ამას ერი დღემდე გლოვობს და ჭრილობა დღემდე მოუშუშებელია, შენ ამ დღეს უმღერო ოკუპანტს, ჩემთვის მიუღებელია.

ყველამ იცის ჩემი დამოკიდებულება ხელოვანების მიმართ, მაგრამ მე ვეწინააღმდეგები 9 აპრილს ამ კონცერტის ჩატარებას. მათ თავიანთ ისტორიაში ცუდი ფურცელი ჩაწერეს და სანამ გვიან არ არის, ვურჩევდი, უარი თქვან კონცერტის 9 აპრილს ჩატარებაზე და გადადონ ის სხვა დღეს. როცა პროდიუსერი უძღვება ჯგუფს, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ეს დღე ერთ-ერთი მძიმე ფურცელია საქართველოს ისტორიაში და არ უნდა ჩააგდო ჯგუფი ასეთ უხერხულ ვითარებაში, თუ ეს პროდიუსერის გადაწყვეტილებაა. დამთხვევები არ ხდება, როცა კონცერტი იგეგმება, ჭკვიანი პროდიუსერი ნებისმიერ თარიღს აკვირდება, როდის არის შესაძლებელი და როდის არა კონცერტის გამართვა, – განაცხადა დავით ოქიტაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მაგდა პაპიძის საქმეს 12 ნაფიცი მსაჯული განიხილავს



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის საქმეზე, ნაფიცი მსაჯულების შერჩევა 18 აპრილიდან დაიწყება.

როგორც მაგდა პაპიძის დამ ლანა პაპიძემ განაცხადა, 7 აპრილის სხდომაზე ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 100-კაციანი სია შედგა, რომლებიც ნაფიცი მსაჯულების სავარაუდო კანდიდატები არიან.

სწორედ ამ სიიდან მოხდება 12 ნაფიცი მსაჯულის არჩევა, რომელიც პაპიძის საქმეს განიხილავს.

პროცესს მაგდა პაპიძეც ესწრებოდა. (ნიუპოსტი)

## აფხაზეთიდან გადმოსვენებული კიდევ 12 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია



აფხაზეთის ომის დროს ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაღუპული კიდევ 12 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია. დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, 8 აპრილს, 16:00 საათზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ცხედრებს სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენებენ.

სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში 8-9 აპრილს (8 აპრილი – 18:00 საათი, 9 აპრილი – 12:00 საათი) გაიმართება.

აფხაზეთიდან გადმოსვენებულ მებრძოლებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე 9 აპრილს, 15:00 საათზე (გამოსვენება სამების ტაძრიდან 14:00 საათი) სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

2010 წელს წითელი ჯვრის ეგიდით შეიქმნა ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს შეისწავლის. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ბაბუშერას ძმათა სასაფლაოს გახსნა და ცხედრების ექსჰუმაცია.

დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წელს კიდევ ორი სამარხი გაიხსნება, საიდანაც 100-ზე მეტ ცხედარს გადმოასვენებენ. (kvira.ge)

## ეროს რამაზოტის კონცერტის ბილეთების ფასი 20-დან 90 ლარამდე იქნება



იტალიელი მუსიკოსის, ეროს რამაზოტის კონცერტის ბილეთების ფასი 20-დან 90 ლარამდე იქნება.

რამაზოტის კონცერტი 24 აპრილს თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება. (2030.news)

## „არავის წარმოუდგენია, რომ, თუ 20 წლის ბიჭები ერთმანეთის ლოშნით გამოვლენ, თქვენ ამას მოიწონებთ“



პარლამენტის ვიცე-სპიკერის განცხადებით, რეფერენდუმის ჩატარება დღის წესრიგში დადგება იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა და 113 დეპუტატის მხარდაჭერის მობილიზება.

ჩატარდება თუ არა 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ქვეყანაში რეფერენდუმი და განისაზღვრება თუ არა კონსტიტუციით ქორწინების ცნება – გედევან ფოფხაძის იდეაზე დუშეთში იმსჯელეს, სადაც საყოველთაო სახალხო განხილვა გაიმართა.

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის იდეა, არამედ ინიციატივა საზოგადოების განწყობის გამომხატველია.

საკონსტიტუციო ცვლილებები გულისხმობს, კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის განსაზღვრას, როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობას.

„მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე კი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, მიუხედავად იმისა, მოხერხდება თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება.

– არავის წარმოუდგენია, რომ მთიულეთში, სვანეთში, ყაზბეგში, ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვა, 20 წლის ბიჭი მოვა და ერთმანეთის ლოშნით გამოვლენ და თქვენ ამას მოიწონებთ. პარლამენტში 113 ხმა უნდა დავაგროვოთ, რა თქმა უნდა, რეფერენდუმი მაინც გვინდა ჩავატაროთ, იმიტომ, რომ ეს უფრო ძლიერი იურიდიული ნორმაა, მაგრამ თუნდაც 113 რომ იყოს, 120-იც რომ იყოს, ესე იგი 20 პროცენტი ამას არ ემხრობა, – განაცხადა გოგი თოფაძემ. (rustavi2.com)

„საქართველოს დედაქალაქს ყველაფერი შეიძლება უწოდო, გარდა მოწესრიგებულისა. შეიძლება ამიტომაც ის ერთ-ერთი საუკეთესო, საოცრად ორიგინალური ქალაქი მსოფლიოში“ – ასეთია **National Geographic**-ის ჟურნალისტის ტარა ისაბელა ბარტონისეული შეფასება.

ამის გარდა და შეიძლება სწორედ ამიტომ, ეს ქალაქი ნამდვილად ორიგინალური სამოგზაურო ადგილია აღმოსავლეთ ევროპაში და შეიძლება ითქვას მსოფლიოშიც. თქვენ შეიძლება თავი ამოყოთ ქუჩაზე, რომელიც სომხურ ეკლესიასთანაა და სავსეა კარგად ნაკვები მაწანწალა კატებით, თქვენ აქ ბოჰემური მხატვრის სტუდიასაც წააწყდებით, რომელმაც შეიძლება ჭაჭაზე მიგიწვიოთ და ის თქვენს უარს არ მიიღებს; შეგიძლიათ წაიხემსოთ სიონის საკათედრო ტაძართან ახლოს და იყიდოთ თბილისის საუკეთესო პური – თონის პური, რომელსაც მოხუცი წინსაფრიანი ქალი აცხობს.

# რას წერს National Geographic თბილისზე



გაზის ნიღბები, თურქული ჩაის ჭიქები. როცა მეორედ აქ მოხვალთ მოვაჭრეებს უკვე ემახსოვრებით (მე იქ ტრადიციულ ქართულ სამკაულს ვყიდულობ ხოლმე და გამყიდველს მშვენივრად ახსოვს არამხოლოდ ჩემი, არამედ დედაჩემისა და ბებიაჩემის გემოვნებაც, ვისთვისაც საჩუქრად სამკაული მიმაქვს ხოლმე).

„არის ქალაქები მოწესრიგებული, სწორი, სუფთა ქუჩები, ერთნაირი სახლები დასაწყისიდან დასასრულამდე, გადასაკვეთი ხიდები, ნიშნები სწორი მიმართულებით და არის – თბილისი.

საქართველოს თავაშვებული და ანარქიული დედაქალაქი, რომელსაც ნამდვილად ვერ უწოდებ ორგანიზებულს. ადგილობრივები ქუჩების დასახელებებად ისევ საბჭოთა ერის სახელებს იყენებენ – ლესელიძე, დავითაშვილი, პეროვსკაია... ახლა ამ სახელებს მხოლოდ წინა დეკადის ძველ რუკებზე თუ იპოვით. ღვინო „კოკა-კოლას“ ბოთლებით იყიდება და ლიტრს ერთ დოლარად იყიდი. ელექტროობა შეიძლება ისევ წავიდეს ქალაქის ძველ უბან „კალაში“.

შეიძლება ნამდვილ იტალიურ სამეზობლოში აღმოჩნდეთ ან ორიგინალური სტილის ბინაში, რომელიც კაფედაა გადაკეთებული და რომლის მაგიდებიც ვაზის უკანაა მიმალული, სადაც შეგიძლიათ შუადღეს ტანგოც კი იცეკვოთ.

გადაკვეთეთ მშრალი ხიდი, აქ თქვენ ყოფილი **Grand Hotel**-ის შენობას და ძველმანების ბაზრობას ნახავთ, სადაც ყველაფერია: ხის ხატები, საბჭოთა

რა თქმა უნდა, არსებობს კლიშე, თბილისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის ადგილია. აბრეშუმის გზის გზაჯვარედინი, სადაც არაბებმა, ოტომანებმა, მონღოლებმა, რუსულმა იმპერიამ თავისი ნიშანი დატოვა. ქალაქის შუა გული ძველი თბილისი, სადაც მშვენიერი ხის აივნებია და ქართველ გრძელწევრა მღვდლებსა და მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ტურისტებს ვიწრო ქვაფენილიან ქუჩებში შეხვედრები, მართლაც ფანტასტიკურია!

მაგრამ ქალაქის რეალობა ბევრად უფრო რთული და მათრობელაა! აღმოსავლეთი და დასავლეთი აქ უმნიშვნელო სიტყვები ნამდვილად არაა, თბილისში, რომელსაც უძველესი ციხე გადმოჰყურებს და რომლის ჰორიზონტზეც დათოვლილი კავკასიონი და გაბოლილი საბჭოთა კორპუსები მოსჩანს.

ძველ თბილისში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ გოგირდის აბანოები, სადაც მომსახურე პერსონალი მხოლოდ ეთნიკური ქართველები არ არიან, თბილისი ცნობილია თავისი ტოლერანტულობით. აქვე ნახავთ მუსლიმი აზერბაიჯანელების მიმალულ ჩაიხანას, სადაც ბაქლავას გასინჯავთ. რამდენიმე წუთის სავალზე კი პოპულარული ფრანგული კაფეა. იქვეა პაბიც საბჭოთა სტილში, რომელის დევიზიც ამბობს „კაგებე ისევ გიყურებთ“.

თბილისში ყველაფერს წააწყდებით მიმალულ რეტრო კაფეებს, ვინტაჟურ ინტერიერებს, ასევე უახლეს და საინტერესო რესტორნებს. თბილისი შერეული კულტურით სუნთქავს და დიახ, შეიძლება შუქი წავიდეს, მაგრამ ქართველები სანთლებს აანთებენ, მხრებს აიჩეჩავენ და კიდევ ერთ ჭიქა ღვინოს დაგისხამენ“. (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მგზავრების“ პასუხი კრიტიკოსებს – „გიგი ცალი კალოშით არ ჩამოსულა თბილისში“

„მგზავრების“ სოლისტ გიგი დედალამაზიშვილის და, ნინი დედალამაზიშვილი კრიტიკას სოციალურ ქსელში პასუხობს:

– „პატრიოტებო“, პირველ რიგში ყველას აქვს აზრის გამოხატვის უფლება, პოზიციის დაფიქსირების, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ადამიანებს აქვთ უფლება, მოსწონდეთ ან არ მოსწონდეთ ჯგუფ „მგზავრების“ მუსიკა. მთელი დღის განმავლობაში მომდიოდა წერილები, მირეკავდნენ ჟურნალისტები და მინდა, რომ ყველას გაგცეთ პასუხი. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ვუყვარვართ, მაგრამ მოგიწოდებთ, რომ გინებით და ლანძღვით ნუ პასუხობთ სიძულვილისა და „დედის გინების“ ენაზე მოსაუბრე ანგაჟირებულ ადამიანს. ჯგუფი „მგზავრები“ წლებია უკრაინაშია, დასახელდა წლის საუკეთესო ჯგუფად, წლების მანძილზე სრული ანშლაგით მართავს კონცერტებს...

რაც შეეხება 9 აპრილს დაგეგმილ კონცერტს, რომელიც პეტერბურგში გაიმართება – პატრიოტიზმია ოკუპანტ ქვეყანაში მოახერხო, ამ თემას შეეხო! ადვილია, ოთახში შეკეტილმა სოციალურ ქსელში პუტინს აგინო, როდესაც იცი, რომ ამის გამო ფიზიკურად ვერავინ შეგეხება. „მგზავრები“ პეტერბურგში აქცია-კონცერტს გეგმავს, ვიდეოინსტალაციით, წუთიერი დუმილით. ჩვენი იარაღი ჩვენი საქმეა, ჩვენი იარაღი არის სტერეოტიპების მსხვრევა ახალ თაობაში, რომ „გრუზინი“ ის არ არის, რაც მათ ჰგონიათ. გიგი ოკუპანტების ქვეყანაში მუდმივად აფიქსირებს




თავის პოზიციას, მათ შორის უკრაინის თემაზეც.

პ.ს. ნიკა გვარამიას დიდ პატივს ვცემ, უფრო მეტ წარმატებას ვუსურვებ, ბევრს მიაღწია კალოშით ჩამოსულმა თბილისში, მაგრამ ყველა იგივე რთულ გზას არ გადის, გიგის უფრო გაუმართლა და კალოშით არ მოუწია კიევში ჩასვლა, იღბლიანია. ძალიან ვაფასებ ნიკას ბიოგრაფიას, რომ თავისი თავი შექმნა, ალბათ, გადაღლილია და „ქართველი ვაჟკაცივით“ დედის გინებაზეა გადასული.

ამასობაში „მგზავრები“ აგრძელებენ ტურნეს, მთელი წელი გაწერილია, მომავალი თვის ბილეთები – წინასწარ გაყიდული.

საზოგადოებრივი ინიციატივა მაქვს, რომ ტალახის სროლის ფესტივალი მოაწყოს სახელმწიფომ, ამაზე დიდ სიამოვნებას ბრბო მაინც ვერაფრისგან იღებს, – წერს გიგი დედალამაზიშვილის და. (fortuna.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბერძნეთში საჯარო მოხელეები გაიფიცნენ




საჯარო სექტორის გაფიცვის შედეგად, პარალიზებულია სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მუშაობა და გაუქმებულია ავიარეისები.

პროფკავშირების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია საპენსიო სისტემის რეფორმისა და სოციალური დაზღვევის წინააღმდეგ არის მიმართული.

პროფკავშირებში აღნიშნავენ, რომ „სირიზას“ მემარცხენე მმართველობა ყოფილი ხელისუფლების ხისტი ეკონომიკის ნეოლიბერალურ პოლიტიკას აგრძელებს.

საპროტესტო აქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება. (pia.ge)

## 1985 წლის ფოტო. 2009-2011 წლებში 20 690 ხის მოჭრაზე გაიცა ნებართვა!

ჟურნალისტი მარინა აბულაძე, რომელიც სოციალურ ქსელში ხშირად აქვეყნებს ძველ, უნიკალურ ფოტოებს, ამჯერად 1985 წლის მწვანე თბილისის ფოტოს აქვეყნებს და წერს:



– მწვანე თბილისი, 1985 წლის ფოტო.

ოფიციალური მონაცემებით (სახელმწიფო აუდიტის 2012 წლის დასკვნა), თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში 20690 ხის მოჭრაზე გაიცა ნებართვა!

დასკვნა თქვენთვის მომინდია,...თუმცა სურათი ნათელია! (postalioni.com)

## „თქვენ ისურვებდით ოჯახში ფატიან, გაბანჯგვლულ კაცებს პატარძლად?!“



გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, შესაძლოა, ოჯახის განსაზღვრებასთან დაკავშირებით რეფერენდუმიც ჩატარდეს, თამაზ მეჭიაური ეხმაურება.

– თუ თვითონ იციან, რომ ამომრჩევლის განწყობა არის ისეთი, რომ ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა გაკეთდეს, მაშინ რატომ ეთამაშებიან ასე ცუდად მათ? თქვენ ისურვებდით, თქვენს ოჯახში ასეთი ქორწინების ჩატარებას?! ფატიან კაცებს ისურვებდით თქვენს ოჯახში, გაბანჯგვლულებსა და წვერიანებს?!.. – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (newspress.ge)

## სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებენ



მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, კონფლიქტის მხარეები ერთმანეთს მთიან ყარაბახში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ყარაბახის ტერიტორიაზე კვლავ სროლები ისმის.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, გასული დღე-ღამის მანძილზე სომხურმა მხარემ 119-ჯერ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი. უწყების ინფორმაციით, მოწინააღმდეგემ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები გამოიყენა და შექმნილი ვითარების გამო, აზერბაიჯანელმა სამხედროებმა მოწინააღმდეგის მიმართულებით, 125 დარტყმა განახორციელეს.

რაც შეეხება სომხური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანელი სამხედროები სროლებს სომხეთის ქალაქ ვარდენისის მიმართულებით აწარმოებდნენ. სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივნის განცხადებით, მოწინააღმდეგე მხარემ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან რამდენიმე ასეული გასროლა განახორციელა. (pia.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელებმა ინსულტისგან გადარჩენის ანეკდოტური მეთოდი აღმოაჩინეს



იმისთვის, რათა თაგვს სიკვდილის უფლება არ მისცეთ, რომელსაც არტერიის ბლოკირების გამო ინსულტი ემუქრება, საკმარისია მას... ულვაში მოქაჩოთ. დაგვეთანხმებით, ეს აღმოჩენა უფრო საპირველაპრილო ხუმრობას წააგავს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ პირველმა აპრილმა რამდენიმე დღის წინ ჩაგვიკრა თვალი და მეორე – მისი ავტორები სავსებით სერიოზული მეცნიერები არიან კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.

სპეციალისტების განმარტებით, ინსულტის გამომწვევი მიზეზი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის შეფერხებაა, რასაც ზოგიერთი მონაკვეთის გათიშვა მოსდევს. თაგვების შემთხვევაში ინსულტის თავიდან აცილება თავის ტვინის ქერქის სტიმულირებით მოხერხდა – მთავარი არტერიების ბლოკირებიდან მომდევნო 2 საათის მანძილზე მეცნიერები მათ ულვაშებს 4 წუთის განმავლობაში ქაჩავდნენ, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ სისხლი დაზიანებულ ადგილამდე სხვა ძარღვების გავლით აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის ფარგლებში თაგვების ინსულტისგან სიკვდილით გადარჩენა ასიდან ასივე შემთხვევაში მოხერხდა.

როგორც ცნობილია, ინსულტი ადამიანისთვისაც კრიტიკული პირველ საათებშია. ნიშნავს თუ არა ეს ახალი აღმოჩენა, რომ ულვაშების მოქაჩვით ადამიანის გადარჩენაც იქნება შესაძლებელი? ამერიკელები ამ კითხვაზე შემდეგნაირად პასუხობენ: ადამიანების შემთხვევაში თავის ტვინს სხეულის სხვა ნაწილები უკავშირდება. ამდენად, შესაძლებელია, მაგალითად, თითების, ტუჩების ან სახის სტიმულირება პაციენტის სქესის მიუხედავად.

***medkarta.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „ფეისბუკს“ პირდაპირი ვიდეოტრანსლაციის ფუნქცია დაემატა

„ფეისბუკს“ პირდაპირ რეჟიმში ვიდეოტრანსლირების ფუნქცია დაემატა. ახალი ფუნქცია, რომლის სახელწოდებაა **Facebook Live**, სოციალური ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა წარადგინა.




ახალი ფუნქციის პრეზენტაცია ცუკერბერგმა სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში გამართა.

**Facebook Live**-ის საშუალებით სოციალური ქსელის მომხმარებლებს შეუძლიათ, სმარტფონით შექმნილ ვიდეორგოლებს პირდაპირ რეჟიმში უყურონ. ამასთანავე, შესაძლებელი ხდება ვიდეოს საყურებლად მეგობრების მოწვევა და ტრანსლაციის გაზიარება.

„ჩვენ ყველასთვის ავამოქმედებთ **Facebook Live**-ს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, მარტივად შევქმნათ ვიდეორგოლები, გავაზიაროთ ისინი და ვუყუროთ მათ რეალურ დროში. ეს ჰგავს იმას, რომ თქვენ ახლა მუდამ თან გექნებათ ვიდეოკამერა. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ტელეფონი, შეუძლია, ვიდეოკავშირი დაამყაროს, ვისთანაც სურს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით“, – განაცხადა სოციალური ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა.

ცუკერბერგი მომხმარებლებს დაჰპირდა, რომ უახლოეს დღეებში პირდაპირი ვიდეოტრანსლაციის დროს პირადად უპასუხებს მათს შეკითხვებს „ფეისბუკის“ ახალ ფუნქციასთან დაკავშირებით.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვედი მეცნიერები პედოფილიის პროფილაქტიკის საშუალებებს ცდიან



შვედმა მეცნიერებმა პროსტატის კიბოს წამლის პედოფილიის პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება გადაწყვიტეს.

მეცნიერები კლინიკური კვლევის ჩასატარებლად ფულის შეგროვებას აპირებენ. სურთ, დაამტკიცონ, რომ წამალს, რომელიც ტესტოსტერონების გამომუშავებას ამცირებს, შეუძლია, პედოფილიისკენ მიდრეკილებაც აღკვეთოს. დასაწყისისთვის, კვლევაში 5 კაცი მონაწილეობს. მოგვიანებით კი, მათი რიცხვის 60-მდე გაზრდა იგეგმება.

მეცნიერები არ აპირებენ იმ ადამიანების კვლევას, რომლებსაც დანაშაული უკვე ჩადენილი აქვთ. მათ სურთ, იმ ადამიანებს დაეხმარონ, რომლებიც სექსუალური გადახრებისგან იტანჯებიან და თვითგამორკვევის პროცესში არიან.

შვედეთის მთავრობამ კვლევის ჩატარების უფლება უკვე გასცა. სამი თვის განმავლობაში ექიმები სექსუალური აღგზნებადობის დონეს, თვითკონტროლის უნარსა და თანაგრძნობის უნარს გამოიკვლევენ, ვინაიდან ყველა ეს პარამეტრი სექსუალური დანაშაულის ფაქტორად მიიჩნევა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ორენოვანი ოჯახის შვილები დაბადებიდან პოლიგლოტები არიან



თურმე, ბავშვს სხვადასხვა ენაზე საუბარი არ აზნევს, პირიქით, მასში პოლიგლოტურ ნიჭს ავითარებს. ბავშვები, რომელთაც სხვადასხვა ეროვნების მშობლები ჰყავთ, პოტენციური პოლიგლოტები არიან.

მეცნიერების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით, როცა ბავშვს სხვადასხვა ენაზე ესაუბრებოდნენ, ტვინში დამატებითი სფეროები უვითარდებოდათ, რაც არ აღენიშნებოდათ ერთენოვანი მშობლების შვილებს.

ასე რომ, მეცნიერების რჩევის თანახმად, ბავშვებს დაბადებიდან სხვადასხვა ენაზე ესაუბრეთ, ასე შვილებს ლინგვისტურ უნარებს განუვითარებთ.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალერგია გაწუხებთ? კიბოსი აღარ უნდა შეგეშინდეთ



ძალიან საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, რომელიც მსოფლიოს მეცნიერებმა, თავის მხრივ, კიბოს მკურნალობის მიმართულებით ახალი მეთოდის მიგნებად შეაფასეს.

როგორც ირკვევა, ექსპერიმენტების ფარგლებში კანადელმა სწავლულებმა 18 კლინიკის 3 ათასამდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომლებსაც კიბოს დიაგნოზი ჰქონდათ დასმული და ასევე, კვლევაში მონაწილეობდნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც საშიში დაავადება არ აწუხებდათ.

ჰოდა, დადგინდა, რომ კიბოთი დაავადებულ პაციენტებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი პირი, რომლებსაც წარსულში ასთმა, ეგზემა ან ალერგიის სხვა გამოვლინება აღენიშნებოდათ.

მეცნიერების მტკიცებით, ამ უცნაური მოვლენის მიზეზი იმაში უნდა იმალებოდეს, რომ ალერგია, როგორც დაავადება, ორგანიზმის იმუნური სისტემის ჰიპერაქტიური რეაქციებითაა გამოწვეული. ამასთანავე, კიბოთი დაავადებულ უჯრედებზე იმუნური სისტემა ასევე მყისიერ რეაქციას ავლენს და პირველ რიგში, ორგანიზმიდან სიმსივნის მატარებელ უჯრედებს დევნის.

მართალია, მიგნება საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სპეციალისტების თქმით, მას ჯერ კიდევ ხანგრძლივი შესწავლა სჭირდება და სასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, სავარაუდოდ, კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების აღმოჩენაც მოხერხდება.

***inauka.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მედიკოსები მუცელზე წოლას კატეგორიულად არ გვირჩევენ



ესპანელი ექიმი სექსოპათოლოგები მიიჩნევენ, რომ მუცელზე წოლა ერთნაირად საშიშია როგორც მშვენიერი სქესისთვის, ისე მამაკაცებისთვის, რადგან ამ მავნე ჩვევას შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის არასასახარბიელო შედეგები მოჰყვეს.

სპეციალისტების განმარტებით, მუცელზე წოლისას დიდი ზემოქმედება ადგება არა მხოლოდ შარდის ბუშტს, არამედ სასქესო ორგანოებსაც, რის გამოც ირღვევა სისხლის მიმოქცევა და პრობლემები სექსუალურ ცხოვრებაში გარანტირებულია.

გარდა ამისა, მუცელზე ძილი ასევე არ არის რეკომენდებული ადამიანებისთვის, რომლებსაც ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ – ასეთი პოზა მათ დამატებით უსიამოვნებებს მოუტანს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მუცელზე წოლა არც სახისთვისაა სახარბიელო, რადგან ხელს უწყობს კანის დაბეჟილობებს და ნაოჭებიც გაცილებით ადრე და ადვილად ჩნდება.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია – მსოფლიოში 422 მილიონი ადამიანი დიაბეტით არის დაავადებული

მსოფლიოში თითქმის ყოველი მე-11 ადამიანი დიაბეტით არის დაავადებული. ამის შესახებ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოხსენებაში წერია. ამავე მოხსენების თანახმად, თუ 1980 წელს მსოფლიოში დიაბეტით 108 მილიონი ადამიანი იყო დაავადებული, 2014-ში რიცხვი თითქმის ოთხჯერ – 422 მილიონამდე გაიზარდა.

დიაბეტი მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი „მკვლელია“. მასთან დაკავშირებული გართულებებით ყოველ წელს 3.7 მილიონი ადამიანი იღუპება.

როგორც „ბიბისი“ წერს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ, თუ ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა, ეს ციფრი ზრდას განაგრძობს.

მოხსენებაში მოყვანილ ციფრებში I და II ტიპის დიაბეტები გაერთიანებულია, თუმცა განსაკუთრებით იზრდება II ტიპის დიაბეტი, რომელიც არაჯანსაღ ცხოვრების წესთან არის დაკავშირებული.

***news.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანეთში დამნაშავეები ორცხობილების მოპარვის გამო დააპატიმრეს



დიდ ბრიტანეთში, ხუთმა მამაცმა მეგობარმა საკონდიტრო ქარხნიდან ტკბილეულის ვაგონი გაიტაცა. მოგვიანებით, ვაგონი გზაზე იპოვეს, ოღონდ ტკბილეულზე მეგობრებმა, უკაცრავადო, ვერ დაგახვედრეთო.

კომპანიის წარმომადგენლებმა კიდევ, ყველაზე უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც კი ბოლო 25 წლის მანძილზე მომხდარაო.

დამნაშავეებმა ქარხნის ტერიტორიაზე მოპარული მანქანით შეაღწიეს. თურმე, მოიტყუეს, ერთ-ერთი ფირმიდან ვართ და თქვენი პროდუქტი მიგვაქვსო. გულუბრყვილო თანამშრომლებიც სიტყვაზე ენდნენ და სეირიც ნახეს.

დამნაშავეებს 44- და 16-თვიანი პატიმრობა შეეფარდათ, მაგრამ გაგიგონია? მაინც ხუმრობის ხასიათზე იყვნენ. სასამართლო დარბაზიდან გასვლისას ერთ-ერთი მიტრიალდა და დარბაზს ჰკითხა, – „ბისკვიტი არავის გინდათ?“

***anekdot-dnya.ru***

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დაბა თბილისის დაქვემდებარებაში
2. მსახიობი ჯორჯ ...
3. ტვირთის შესანახი დიდი ყუთი
4. ტრიუკების შემსრულებელი
5. ამერიკული ავტომობილი
6. ნივთიერება. მატებს სიმხნევეს
7. კომპოზიტორი მორის ...
8. იაზონის გემი
9. ხის ჯიში
10. მომლოცველი
11. მხ.ფ „მზიური ... სერენადა“
12. მსახიობი კლინტ ...
13. მსახიობი სტივ ...
14. ნორვეგიის დედაქალაქი
15. სინთეზური ქსოვილი
16. რეჟისორი ... ღოღობერიძე
17. სპორტის სახეობა
18. კომპოზიტორი ... ნემსაძე
19. შუმერული ეპოსის გმირი
20. თხის ხმიანობა
21. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
22. ალკოჰოლური კოქტეილი
23. მდინარე იტალიაში
24. ქალაქი-სახელმწ. აზიაში
25. მსახიობი არჩილ ...
26. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
27. იუპიტერის თანამგზავრი
28. ალკოჰოლური სასმელი
29. ორთაბრძოლა სეკუნდანტებით
30. მხარე დას. საქართ.
31. სოფელი კასპის რაიონში
32. ნახევრად მოხარშ. კვერცხი
33. მეცნიერება თევზების შესახებ
34. მორწყვის სისტემა
35. საერთო სახალხო გამოკითხვა
36. ლიმონის კანი
37. ციტრუსი
38. მტაცებელი ცხოველი სავანაში
39. ჩეხოვი. „ძია ...“
40. ქალაქი აფხაზეთში
41. „ოტელო“ პერსონაჟი
42. დაწმენდილი შაქარი
43. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
44. ესპანელი მხატვარი
45. ცხენის კუდის ბალანი
46. ბუნების დაცვა
47. მომღერალი ... მატიე
48. საკანცელარიო ნივთი
49. პარლამენტის თავმჯდომარე, ანუ ...
50. მწერალი რედიარდ ...
51. კვირტებიანი ტოტი
52. ქოქოსის გული
53. მსახიობის პირველი გამოსვლა
54. მიმართვა პოლონელისადმი
55. სამშენებლო მასალა
56. პერო. „... მზეთუნახავი“
57. სამაგიდო თამაში
58. ბილიარდის ჯოხი
59. კომპოზიტორი იან ...
60. მწერალი აკა ...
61. ჯუჯა ცხენი
62. კარტოფილის კერძი
63. ყვავის ბარტყი
64. მათემატიკის ნაწილი
65. მაიმუნის სახეობა
60. წისქვილის ქვა
67. მომღერალი გოგი ...
68. „... და მშვიდობა“
69. ცული
70. თამაში: ...-პონგი
71. რეჟისორი ... პარკერი
72. სანელებელი
73. ყვავილი
74. სპილენძის დოქი
75. ნილოსის რეპტილია
76. ლითონი
77. ინკების კვანძოვანი დამწერლობა
78. წყლის ტრანსპორტი
79. კაპიტან ნემოს გემი
80. დაბალი რბილი სკამი
81. მომღერალი ლედი ...
82. საბაჟო აჭარაში
83. მსახიობი ... ფაროუ
84. პატარა ტანის ძაღლი
85. შრომა
86. თევზსაჭერი გემი
87. დაბა ოზურგეთის რაიონში
88. „მაუგლი“ დათვი
89. ადამიანის სახის გვერდხედი
90. ებრაული რიტუალ. ხმიადი
91. ქვის მაღალი ღობე
92. გოია. „შიშველი ...“
93. მხატვარი ალბრეხტ ...
94. გადაშენებული ფრინველი
95. ქოქოსის ხე
96. პორტუგალიის დედაქალაქი
97. რას ადგამენ ხარს კისერზე
98. ელვის ... პრესლი
99. მწერალი ტომას ... რიდი
100. ტროპიკული ნაყოფი
101. კუნძული იტალიაში
102. თრითინა
103. რეჟისორი ... მჭედლიძე
104. სასახლე ფლორენციაში
105. პოეზიის ჟანრი
106. ძალიან ტკბილი ნივთიერება
107. სასულე ინსტრუმენტი
108. მომღერალი ... კუტუნიო
109. დიზაინერი ჯორჯო ...
110. სასახლე
111. მოკარნახე თეატრში
112. თევზის ძვალი
113. გლეხკაცი, ანუ ...
114. ... მოგივა დავითაო
115. ლენონის ქვრივი
116. თვითმფრინავის სადგომი
117. ჩვილის საწოლი
118. ჭამის სურვილი
119. სოლჟენიცინი. „არქიპელაგი ...“
120. ქალაქი სამეგრელოში
121. როგორიც ..., ისეთიც ბერიო
122. ხის გრძელცხვირა ბიჭუნა
123. შხამიანი მწერი
124. მხ/ფ „ჩვენი ...“
125. „დათა თუთაშხია“ ქურდი
126. ყურე
127. ... რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო
128. ხელის საგრილებელი
129. უჯრედშორისი სითხე
130. ალკოჰოლური სასმელი
131. ბრედ პიტი ფილმში
132. ლაჩარი
133. უქორწო თუთიყუში
134. შოკოლადის ხის ნაყოფი
135. მსახიობი აიშვარია ...
136. ძროხის ნაშიერი
137. კბილის ექიმი
138. კუნძული ანტილის არქიპელაგში
139. ქალაქი საფრანგეთში
140. ... პუგაჩოვა
141. პოეტი ... მირცხულავა

პასუხები: 1. კოჯორი; 2. კლუნი; 3. კონტეინერი; 4. კასკადიორი; 5. „კადილაკი“; 6. დოპინგი; 7. რაველი; 8. „არგო“; 9. ტირიფი; 10. პილიგრიმი; 11. ველის; 12. ისტვუდი; 13. მარტინი; 14. ოსლო; 15. ნეილონი; 16. ლანა; 17. კრივი; 18. ლილიკო; 19. გილგამეში; 20. კიკინი; 21. რეიგანი; 22. გროგი; 23. პო; 24. სინგაპური; 25. გომიაშვილი; 26. პოლონეზი; 27. იო; 28. ლიქიორი; 29. დუელი; 30. იმერეთი; 31. გრაკალი; 32. თოხლო; 33. იქთიოლოგია; 34. ირიგაცია; 35. რეფერენდუმი; 36. ცედრა; 37. ლიმონი; 38. ლომი; 39. ვანია; 40. გაგრა; 42. იაგო; 42. რაფინადი; 43. სამოა; 44. გოია; 45. ძუა; 46. ეკოლოგია; 47. მირეი; 48. საშლელი; 49. სპიკერი; 50. კიპლინგი; 51. ნეკერი; 52. კოპრა; 53. დებიუტი; 54. პან; 55. კირი; 56. მძინარე; 57. შაში; 58. კიი; 59. სიბელიუსი; 60. მორჩილაძე; 61. პონი; 62. პიურე; 63. ბახალა; 64. ალგებრა; 65. მირიკინი; 66. დოლაბი; 67. დოლიძე; 68. ომი; 69. ნაჯახი; 70. პინგ; 71. ალან; 72. პილპილი; 73. გიორგინა; 74. თუნგი; 75. ნიანგი; 76. ნიკელი; 77. კიპუ; 78. ბორანი; 79. „ნაუტილუსი“; 80. პუფი; 81. გაგა; 82. სარფი; 83. მია; 84. ფინია; 85. ჯაფა; 86. სეინერი; 87. ლაითური; 88. ბალუ; 89. პროფილი; 90. მაცა; 91. გალავანი; 92. მახა; 93. დიურერი; 94. მოა; 95. პალმა; 96. ლისაბონი; 97. უღელი; 98. აარონ; 99. მაინ; 100. ბანანი; 101. სიცილია; 102. სინდიოფალა; 103. ნანა; 104. უფიცი; 105. ლირიკა; 106. ქსილიტი; 107. კლარნეტი; 108. ტოტო; 109. არმანი; 110. სრა; 111. სუფლიორი; 112. ფხა; 113. გლეხი; 114. რაც; 115. ონო; 116. ანგარი; 117. აკვანი; 118. მადა; 119. გულაგი; 120. აბაშა; 121. ერიო; 122. ბურატინო; 123. კრაზანა; 124. ეზო; 125. მახო; 126. უბე; 127. ფარა; 128. მარაო; 129. ლიმფა; 130. ლუდი; 131. „ტროა“; 132. მშიშარა; 133. არა; 134. კაკაო; 135. რაი; 136. ხბო; 137. სტომატოლოგი; 138. მარტინიკა; 139. ბორდო; 140. ალა; 141. ალიო. იკითხება: ჯონი დეპი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



## ტაივანელი „რომეო“ ქალღმერთის ქანდაკებაზე დაქორწინდა

საერთოდ, ყოველთვის ისე ხდება ხოლმე, რომ გარყვნილებას დემოკრატიის ცანცარულ სამოსში გამოწყობილი მორალისტები საუკეთესო შემთხვევაში, ავადმყოფობად ასაღებენ და უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ მაგალითად, მამათმავლობაში, ლესბოსელობაში, ნეკროფილობაში, ზოოფილობაში და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, პედოფილიაშიც კი!

ზუსტად როგორ შეაფასეს ეს სულელური ფაქტი დემოკრატიის მამებმა, ვერ გეტყვით, თუმცა რთული მისახვედრი არც არის, რადგან, როგორც ამბობენ ხოლმე, ყველას აქვს იმის გაკეთების უფლება, რაც მის ავადმყოფურ გონებაში დაიბადება.

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, გეტყვით, რომ ტაივანის მკვიდრმა, იუნ ლინმა ქალღმერთის ქანდაკებაზე იქორწინა.

თავად ლინის განმარტებით, ლოტოსის ქალღმერთის მიმართ გრძნობა ჩვეულებრივ მოკვდავებთან ხელმოცარული რომანების შემდეგ გაუჩნდა, რომელიც სიზმარში ძალიან ხშირად ეცხადებოდა და სიყვარულს ეფიცებოდა.

მას შემდეგ, რაც საზეიმო ღონისძიებაზე სიძემ „პატარძალთან“ ხელი მოაწერა, ქანდაკება სახლში გადაიტანა და...

*gazeta.ru*

## ავსტრალიაში აკვამაცია — მიცვალებულების წყალში „დასაფლავება“ მოიგონეს



მსოფლიოს გარკვეული ნაწილი მიცვალებულების დაკრძალვის ახალ-ახალი მეთოდების გამოგონებას ცდილობს. მათი მიწისთვის მიბარება აქტუალური აღარ არის, რადგან ადგილია ძალიან შემცირებული. კრემაციაც ველარ ყოფილა ისეთი პოპულარული, ნამწვი კლიმატის ცვლილებებზე მოქმედებსო და... ჰოდა, დარჩა მესამე და უკანასკნელი სტიქია – წყალი. დიახ, სწორედ წყლის დახმარებით ცდილობენ გარდაცვლილთა ცხედრების უტილიზაციას.

როგორც ირკვევა, აკვამაციის (მეთოდის მსგავსად, ალბათ, სიტყვაც ახლად გამოგონილია) ინიციატორი ვინმე ჯონ ჰამფრისია, ავსტრალიის მოქალაქე და აი, რას სთავაზობს ის თანამედროვე მსოფლიოს:

მიცვალებულთა ცხედრები უნდა მოთავსდეს ლითონის მოზრდილ ცილინდრებში, შემდეგ მაღალ ტემპერატურაზე 4 საათის განმავლობაში მოიხარშოს (ძალიან შეუსაბამო სიტყვაა, მაგრამ ასეთია ჰამფრისის იდეა და...), რასაც ხორცის მთლიანად აორთქლება მოჰყვება, დარჩენილი ძვლები კი მიწაში დიდ ადგილს აღარ დაიკავებს.

რამდენად მოიწონეს ავსტრალიელებმა ჯონ ჰამფრისის ინიციატივა, აზრზე არ ვართ და დიდად, ალბათ, არც თქვენ გაინტერესებთ, რადგან კრემაციასთან შედარებით, ეს მეთოდი გაცილებით საზიზღარი და ამაზრზენია. ბოლოს და ბოლოს, „ხალადეცის“ მასალა ხომ არ არის ადამიანი, არა?!

*mosritual.ru*



## კიბო მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ დაავადებად აღიარეს

ამერიკის კიბოსთან ბრძოლის საზოგადოების მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ცნობილი ხდება, რომ ონკოლოგიური დაავადებები პირველია მსოფლიოში არა მხოლოდ სიკვდილიანობის მიხედვით, არამედ, ასევე, პირველ ადგილს იკავებს მატერიალური ზიანის მოტანის მხრივაც. მართლაც, კიბოთი დაავადებული პაციენტების მკურნალობას უზარმაზარი თანხები სჭირდება და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგის მიღება ვერ ხერხდება.

ყველაზე ძვირად ღირებული დაავადებების სიაში მომდევნო ადგილები გადაინაწილეს: შიდსმა, მალარიამ, გრიპმა და ასე შემდეგ.

ქრონიკულ დაავადებებზე, მათ შორის, კიბოზე, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობებსა და დიაბეტზე, მსოფლიოში სიკვდილიანობის 60 პროცენტი მოდის, თუმცა მათ დასამარცხებლად სახელმწიფო და კერძო სახსრების მხოლოდ 3 პროცენტი იხარჯება. გამოდის, რომ მსოფლიო ამ საკმაოდ საშიშ დაავადებებს საჭირო ყურადღებას არ უთმობს, რაც უარყოფითად ისევ ეკონომიკაზე აისახება. მაგალითად, 2008 წელს მხოლოდ კიბოთი გარდაცვლილი ადამიანების გამო, მსოფლიოს ზარალმა 895 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თანხაში მკურნალობის ხარჯები გათვალისწინებული არ არის. 895 მილიარდი აშშ დოლარი კი მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 პროცენტის ეკვივალენტურია. ანუ სახელმწიფოების წინდაუხედაობასა და დაავადებების დასამარცხებლად თანხების გამოყოფაზე უარის თქმას, გაცილებით დიდი დანაკარგები მოსდევს არა მხოლოდ ადამიანური რესურსის, არამედ ფინანსური თვალსაზრისითაც.

*medkarta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**8 აპრილი:** ძალიან ბევრი საქმე გექნებათ მოსასწრები, დრო კი – მცირე. კარგი იქნება, თუკი დილიდანვე მოძებნით დამხმარეებს, სხვაგვარად გაგიჭირდებათ.

**კურო 22.04-21.05**
**8 აპრილი:** ბევრი რამ შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ დღეს ბევრი სიახლის მომსწრე გახდებით. ზოგიერთ რამეში შეიძლება თავად ვერ გაერკვეთ, მაგრამ დაგეხმარებიან.

**ტყუპები 22.05-21.06**
**8 აპრილი:** დღეს წარმატებას მიაღწევთ, მაგრამ შედეგი იმაზე მცირე მოგეჩვენებათ, ვიდრე ელოდით. თუმცა, არც მთლად მასე იქნება საქმე.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**8 აპრილი:** შესაძლოა, დღეს გრძნობები მთელი დღე არეული გქონდეთ და დიდი ალბათობით, უბრალო საკითხების მოგვარებაც გაგიჭირდებათ. ახლობლებს მიენდეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**8 აპრილი:** როგორც ჩანს, გარშემომყოფნი თქვენს ნებისმიერ ნათქვამს დაიჯერებენ, ამიტომ, თუ პრობლემები არ გინდათ, ვინმეს მოტყუება არც იფიქროთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**8 აპრილი:** დღეს იმაზე უდარდელი იქნებით, ვიდრე ჩვეულებრივად ხართ ხოლმე. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, რომ ხიფათი შეამჩნიოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**8 აპრილი:** თუ მოინდომებთ, პატარა საოცრების მოხდენას შეძლებთ, ოღონდ ამის აფიშირებას ნუ მოახდენთ, ისედაც მიხვდებიან, ვისი ნამოქმედარია.

**მორიელი 23.10-21.11**
**8 აპრილი:** ორ ანალოგიურ სიტუაციას ან ნივთს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ნაჩქარევი დასკვნები არ გააკეთოთ, მათში განსხვავება მნიშვნელოვანი იქნება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**8 აპრილი:** სალაპარაკო თემები საგულდაგულოდ შეარჩიეთ. საკითხებზე, რაშიც ვერ ერკვევით, უმჯობესია, არაფერი თქვათ, ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ არ გაერკვევით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**8 აპრილი:** შესაძლოა, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და დღეს ფლირტის წამოწყება მოინდომოს. სანამ ადამიანში არ გაერკვევით, მანამდე არ გაიკაროთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**8 აპრილი:** თქვენი გონება ემოციებს სრულად დათრგუნავს. გაითვალისწინეთ, რომ გულის კარნახს ყოველთვის არ მოაქვს სიკეთე, ამიტომ გააზრებულად იმოქმედეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**8 აპრილი:** თქვენს ნათქვამს ძალიან ახლოს მიიტანენ გულთან, ამიტომ გამოთქმებში ზომიერება გამოიჩინეთ, თორემ ვინმეს ძალიან აწყენინებთ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## ფსორიაზს თვითმკვლელობის პროვოცირება შეუძლია?



რამდენად შეიძლება დაჯერება, რთული სათქმელია, თუმცა ის კი შეგვიძლია გითხრათ, რომ შემაძრწუნებელი დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით. ისინი მიიჩნევენ, რომ ფსორიაზი არა მხოლოდ კანის დაავადება, არამედ დეპრესიის, სულიერი მღელვარებისა და სუიციდური აზრების პროვოკატორიც კია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკელმა სწავლულებმა მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა – როგორც ფსორიაზით დაავადებულებმა, ისე სრულიად ჯანმრთელებმა.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობები გაცილებით ხშირად სწორედ დაავადებულებში ფიქსირდება, ვიდრე ჯანმრთელებში.

100 დაავადებულიდან „ღრმა დეპრესიის“ დიაგნოზი 26 პაციენტს დაესვა, 21-ს „მუდმივი მღელვარება“, 3-4 კი თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი აღმოჩნდა და ეს ყველაფერი მხოლოდ კანის დაავადების გამო.

*myjane.ru*

## ამერიკელი გოგონა ციხეში შარვლიდან ტრუსების გამოჩენისთვის ჩასვეს

ამერიკას რომ ვლანძღავთ ხოლმე, მთელი გარყვნილება იქიდან შემოვიდაო, არ ჯობია, ჯერ საკუთარი მორალი შეგვეფასებინა და შემდეგ დაგვეწყო ვინმეს დადანაშაულება?..

საიდან შემოვიდა საქართველოში მართლაც უჩვეულო „მოდა“, შარვლებიდან ნიფხვის გამოჩენას რომ გულისხმობს, ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ ასეთი უთავბოლო საქციელის გამო ახალგაზრდებს ამერიკაში პატიმრობასაც კი უსჯიან.

როგორც ირკვევა, სწორედ აღნიშნული მიზეზით დააპატიმრეს ახალ ორლეანში 23 წლის კიმბერლი სენეტე, რომელმაც გაბედა და მოკლეწელიანი შარვლით, საიდანაც ტრუსები უჩანდა, სასამართლო დარბაზში შევიდა, სადაც, სხვათა შორის, ავტომობილის გატაცებაში ეჭვმიტანილი მისი ძმის პროცესი უნდა გამართულიყო.

როგორც კი მოსამართლემ დარბაზში შესული ახალგაზრდის გამომწვევ ჩაცმულობას თვალი მოჰკრა, გოგონას მაშინვე ერთკვირიანი პატიმრობა მიუსაჯა, რაც შეეხება მის ძმას, ავტომობილის გამტაცებელს ნარების ხეხვა 12 წელი მოუწევს.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



პოლიციის უფროსთან მისი ოცი წლის გოგო მივიდა:

– მამიკო, დავფეხმძიმდი, მიშველე რამე.

– მდაა, გასაგებია... ეგ რა ფურცელი გიჭირავს?

– ეს ეჭვმიტანილთა სიაა, მამიკო...

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.55